საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 დეკემბერი, 2015 წელი.

№240 (7885)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეფილებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ ერისა და ბერის გასაგონად!

ზემო აჭარას, სხალთის ეპარქიას მეტი ყურადღება სჭირდება!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!

უდიდეს მადლობას მოგახსენებს სამეცნიერო საზოგადოება იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რასაც მრავალტანჯული აჭარის მიმართ იჩენთ და აღასრულებთ მეუფე სპირიდონის საქმიანობით. მოკრძალებული მადლობა, რომ თქვენი უწმინდესობის ლოცვის ძალითა და მადლით ხდება სულიერი განმტკიცება იმ ძირძველი მიწა-წყლისა, რომელიც გაუღენთილია აჭარაში თურქთაგან მოწყვეტილთა სისხლით.

სხალთის ეპარქია ყოველთვის იყო, არის და იქნება მადლიერი თქვენი უწმინდესობისა და მეუფე სპირიდონის უდიდესი ღვაწლისა. შეუძლებელია გულგრილნი ვიყოთ ჩვენი მეუფის მუხლჩაუხრელი საქმიანობისადმი. რაც მეუფე სპირიდონი თქვენი ლოცვა-კურთხევით, საქართველოს წმინდა სინოდის განჩინებით გამორჩეული იქნა სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრად, არაერთი სასიკეთო, საშვილიშვილო, განუზომელი ღვაწლი და მძიმე ტვირთი სწია ზემო აჭარის სულიერი აღორძინებისათვის.

ჯერ კიდევ 1991 წლიდან, თქვენი ლოცვა-კურთხევით, თქვენი დიდი ღვაწლით ხულოში შეიქმნა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც შედიოდა სრული საშუალო სკოლა, ტექნიკუმი ათი სპეციალობით და მომდევნო წლებში დაარსებული საბავშვო ბაგა - ბაღი, რითაც ზემო აჭარაში დაიწყო ის დიდი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის გახსნით დაგვირგვინდა.

უნივერსიტეტმა უკვე თქვა თავისი ღირსეული სიტყვა. ჩვენი აღზრდილნი ზოგი მღვდლად და დიაკვნად ეკურთხა, მრავალი დღეს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სკოლების და ბაგა-ბაღის თანამშრომელია, ბევრი კი, საჯარო და კერძო სექტორში არის დასაქმებული. უნივერსიტეტმა და წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სკოლებმა ფაქტიურად შეცვალეს ზემო აჭარის სულიერი და სოციალური სახე და ჩვენს მრავალჭირნახულ კუთხეს თქვენი ლოცვა-კურთხევით შეემატა ჭეშმარიტი რწმენითა და ეროვნული მუხტით აღსავსე ახალი თაობა. წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტმა უკვე გამოუშვა 650-ზე მეტი დიპლომირებული სპეციალისტი, ხოლო წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სკოლებმა ათეულობით ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები.

იხ. 2 გვ.

50 ლარით პენსიის მატება არარეალურია!!!

4

„ჯილდო“ რუსეთთან კრიჭაში დგომისთვის

5

ზურაბ აბაშიძე:

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დღესდღეობით ვერ აღდგება და ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც იციან, რატომ

5

„ახალი მზიურის“ დღესასწაული

12

გზამკვლევი ევროკავშირის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის

7

„ნუ მოჭრი ნაძვს!“

ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შეახსენებს მოსახლეობას, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 400 ლარამდე. ამასთან, თუ ქმედება დაცული ტერიტორიებზე ხორციელდება, ჯარიმის ოდენობა 400-დან 500 ლარამდე იზრდება. კანონდარღვევა ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 600 ლარამდე.

გარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა, სამართალდამრღვევს დაეკისრება გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. თუ ზიანის თანხა შეადგენს ან აღემატება 1000 ლარს, დგება პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მოსახლეობას ეროვნულ სატყეო სანერგე მეურნეობაში სპეციალურად გამოყვანილ ნაძვის ხეებს სთავაზობს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, თავი შეიკავოს წიწვოვანი ნარგავების უკანონო რეალიზაციისგან. ხის უკანონო ჭრა დასჯადია.

6 თვე - 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

პრემიერი: ევროკავშირის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მრავალმხრივი შრომის უმაღლესი შეფასებაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის საკრებულოში მთავრობის სამწლიანი ანგარიშის წარდგენა ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით ანგარიშზე საუბრით დაიწყო. მთავრობის მეთაურმა ეს ისტორიული მიღწევა ყველას კიდევ ერთხელ მიულოცა და აღნიშნა, რომ ევროკავშირის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე, საქართველოს ხელისუფლების მრავალმხრივი შრომის უმაღლესი შეფასებაა. **„დღეს ჩვენი შრომის პირველი ისტორიული შედეგი სახეზეა — ევროპა ხმამაღლა ცნობს ჩვენს წარმატებებს და ფართოდ გვიხსნის საზღვრებს. ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ისტორიულ მიღწევას“** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 2012 წლიდან, საქართველომ აირჩია განვითარების არსებითად ახალი გეზი - თანამედროვე ევროპული ტიპის, კანონის უზენაესობის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის, მშვიდობის, ადამიანის უფლებათა დაცულობის, ყველასთვის თანასწორი შესაძლებლობების ქვეყნის შენება.

„ამ მანდატით მოვედით ხელისუფლებაში და თავდაუზოგავად ვშრომობთ იმისთვის, რომ ვიყოთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს“, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მისი თქმით, 2012 წელს ხალხისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება შესაძლებელი გახადა ფასეულობათა არსებითმა განსხვავებამ წინა ხელისუფლებისგან.

„ჩვენი ფასეულობათა სისტემის ცენტრი არის ადამიანი. მისი კეთილდღეობა, მისი უფლებები და თავისუფლებები. მშვიდობიანი გარემო მისთვის. განვითარების პირობები თითოეული მოქალაქისთვის. არა ცალკეულთა ფუფუნება, არამედ ყველა მოქალაქის კეთილდღეობა და დაცულობა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ფასეულობებმა განაპირობა ხელისუფლების პირველი მონაპოვარი — თავისუფლება და სტაბილურობა ქვეყანაში.

პრემიერ-მინისტრმა ხელისუფლების მთავარ მიღწევებზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეწყდა პოლიტიკური ნიშნით დევნა და დისკრიმინაცია, ადამიანები გათავისუფლდნენ შიშისგან; დეპოლიტიზირებულია პოლიცია; შექმნილია უმთავრესი წინაპირობა ბიზნესის, ეკონომიკის განვითარებისთვის — ბიზნესს აღარ აშანტაჟებენ, არ მოითხოვენ მისგან პოლიტიკურ ლოიალობას; უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება, ხელისუფლების ჩაურევლობა მედიაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა; საარჩევნო, თვითმმართველობის, შრომის კოდექსის, სხვა კანონთა ცვლილებებით მომზადდა საფუძველი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად; ჩატარდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ციკლი, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაციას; ძლიერდება სახელმწიფო ინსტიტუტები; მმართველობის სისტემა გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული გახდა.

„კარგად გვესმის, რომ თავად ინსტიტუტები ძლიერია, თუკი მას მართავენ ძლიერი ლიდერები, პასუხისმგებლობიანი და პროფესიონალი ადამიანები“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა მიღწევებს შორის ასევე დაასახელა საბიუჯეტო სისტემის გამჭირვალობის ზრდა და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დაასახელა მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის გრძელვადიანი კვლევა“, რომლის მიხედვით, ბოლო სამი წლის შედეგებით საქართველო საგრძნობლად დაწინაურდა მრავალი პარამეტრით, მათ შორის, მთავრობის ეფექტიანობის, კანონის უზენაესობის, კორუფციის კლებისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით.

„ხაზი უნდა გავუსვა მიღწევას, რომლის უკან ხელისუფლების დიდი ძალისხმევა დგას — უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში გონივრული, პრაგმატული, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკური კურსით საქართველოს ხელისუფლება ახერხებს მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, მთავრობის ადმინისტრაციის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განათლებისა და კულტურის სფეროს მოღვაწეები, ბიზნესმენები, იძულებით გადაადგილებული პირები, სპორტსმენები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, სტუდენტები, ჯანდაცვისა და სხვა სფეროების წარმომადგენლები დაესწრნენ.

◎ ერისა და ბერის გასაგონად!

ზემო აჭარას, სხალთის ეპარქიას მეტი ყურადღება სჭირდება!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

(პირველი გვერდიდან)

თქვენო უწმინდესობავ, თქვენი დიდი ავტორიტეტისა და თქვენდამი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის, მეუფე სპირიდონის, ეპარქიის მამების, აკადემიური და პედაგოგიური კოლექტივისა და სტუდენტთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მისიონერული ღვაწლის შედეგია ის, რომ 2013 წლის 17 ივნისს ხულოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახლადაგებულ ტაძარში მოეწყო მასობრივი ნათლობა. ჩვენი კუთხისათვის უდიდესი პატივია, რომ 1200-ზე მეტი აჭარელის ნათლია თქვენი უწმინდესობა ბრძანდება. ჩვენს კუთხეში თქვენი ჩამობრძანება ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა და ზეიმი იყო. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ეპარქიაში სისტემატური ნათლობები, მორწმუნეთა და მედავითნეთა ერთი დიდი ძლიერი გუნდის შექმნა, მოსახლეობის სულიერი განმტკიცება და დააჩქარა დედაეკლესიის წიაღში მათი დაბრუნება.

სხალთის ეპარქიის მისია კიდევ უფრო იზრდება დღეს, ზნეობრივი თუ პოლიტიკური გამოწვევების ფონზე. უნივერსიტეტმა, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სკოლებმა ნამდვილად შეძლეს, მნიშვნელოვნად შეეჩერებინათ უცხო ქვეყანაში ახალგაზრდების გადინება და ამასთან, შექმნეს საუკეთესო გარემო კულტურული დიალოგისა, აღზარდეს სულიერად და ეროვნულად საიმედო თაობა, რომელიც ყოველთვის იდგება ღვთისა და ერის სამსახურში.



თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ლოცვა-კურთხევით ამ სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირება რომ არა, რომელიც ერთგვარ მეხამრიდად იქცა ზემო აჭარის ცხოვრებაში, წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი მძლავრი ეროვნული მუხტის არსებობა, რადგან აქ უმძიმეს ფსიქოლოგიურ გარემოში გვიწევს საქმიანობის წარმართვა.

თქვენო უწმინდესობავ, ყველაზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ თუ როგორ უჭირს დღეს ჩვენს კუთხეს, როგორი ჩასაფრებული ძალები უტევენ ჩვენს ეპარქიას და როგორ იზრდება ცდუნება გარე ბნელი ძალებისაგან, რასაც უკვე მერამდენედ მოჰყვა ცილისმწამებლური კამპანია სხალთის ეპარქიის მიმართ. თურქეთის მიერ მილიონებით დაფინანსებულ მედრესეებსა თუ სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში მოზარდი-ახალგაზრდების მიზიდვა ჩვენს თვალწინ ხდება და ეს ჩვენი წარმოუდგენელი ტკივილი და განსაცდელია. სხალთის ეპარქიის სასწავლო დაწესებულებებმა მნიშვნელოვნად შეაფერხეს თურქეთში ახალგაზრდების გაყვანის პროცესი. ამიტომ გაძლიერებული კონკურენციის პირობებში აუცილებლად მიგვაჩნია ეპარქიის სასწავლო დაწესებულებების აკადემიური, პედაგოგიური, ტექნიკური, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტიგენტის შენარჩუნება და გაზრდა, რაც ზემო აჭარის წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სკოლების სულიერ სიმტკიცესთან ერთად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ლექტორ-მასწავლებლები რამდენიმე თვის დაგვიანებით ღებულობენ ხელფასს. ფინანსური სიდუხჭირის გამო წლის ბოლოს მათი სახელფასო დავალიანება კი სამი თვის თანხას შეადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ ლექტორ-მასწავლებელთა ძირითად ნაწილს საკუთარი ხარჯით ყოველდღიურად რამდენიმე ათეული კილომეტრი მანძილის გავლა უხდება. აღნიშნულმა გარემოებებმა მოითხოვა საკუთარი მატერიალური და ფინანსური ბაზის განმტკიცება და სტაბილურობა. სამწუხაროდ, 2011 წლის ბიუჯეტში ხელისუფლებამ საპატრიარქოს შეუმცირა დაფინანსება 2.5 მილიონი ლარით, რაც ჩვენი ეპარქიის დაფინანსებას მძიმე ტვირთად დააწვა: ჩვენს სასწავლო დაწესებულებებს ჩამოაკლდა 1.25 მილიონი ლარი, რის შედეგადაც დაიწყო სხალთის ეპარქიის სასწავლო დაწესებულებების ფინანსური კრიზისი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში წმიდა სვიმონ კანანელის სასულიერო სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი ბრძანდებოდა მეუფე სპირიდონი, ხოლო ზესტაფონის წმიდა ბარბარეს სახელობის ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვთა პანსიონატი 2013 წლის აგვისტო - ოქტომბერში მთლიანად იქნა გადაყვანილი ჯავახეთის ბავშვთა სახლში. ამიტომ, ზემოაღნიშნული კრიზისის დასაძლევად მეუფე სპირიდონის თხოვნით, საპატრიარქოს ბუღალტერიასთან შეთანხმებით, ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილება და წმიდა სვიმონ კანანელის სასულიერო სწავლების ცენტრის დაფინანსების დიდი ნაწილი გადაანაწილა სხალთის ეპარქიის სასწავლო დაწესებულებებზე და ჯავახეთის ბავშვთა სახლზე. წმიდა სვიმონ კანანელის სასულიერო სწავლების ცენტრს დარჩა 150 ათასი ლარი და მეუფე სპირიდონი 2014 წელს დამატებით ერთჯერადად დაეხმარა 97 ათასი ლარით. ამ ღონისძიებებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეამცირეს აღნიშნული კრიზისი, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სხალთის ეპარქიის სასწავლო დაწესებულებების სახელფასო დავალიანება სამი თვის თანხას შეადგენს.

მძიმე პერიოდში აჭარისთვის თანადგომას წმიდა ილია მართალი არა მარტო მორალურ თანაგრძნობაში, არამედ ნივთიერ დახმარებაშიც ხედავდა. დღესაც ურთულესი განსაცდელების წინაშე დგას ზემო აჭარა და ამიტომ ამ მიმართებით უფრო მეტად უნდა იქნას მიმართული საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება, რადგან აქედან მოეფინა ქრისტეს ნათელი სრულიად საქართველოს და აქედან იკვეთება მომავალი საქართველოს კონტურებიც.

თქვენო უწმინდესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა ხელისუფლებასთან, რათა ზემო აჭარის წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღის და მოსამზადებელი განყოფილებების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,5 მილიონი ლარით გაიზარდოს.

უწმინდესო და უნეტარესო! — ღმერთმა თქვენი მესაჭეობით გააძლიეროს დედაეკლესია, გაგიმრავლოთ მრევლი, გაამთლიანოს საქართველო და ისტორიულ საზღვრებში აღგავლენინოთ თქვენი მადლიანი ლოცვა ღვთისა და ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს საპატრიარქოს სხალთის ეპარქიის წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის, წმიდა გრიგოლ ხანძთელისა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბაგა-ბაღის პროფესორ-მასწავლებლები, პედაგოგები, აღმზრდელები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტები და მოსწავლეები.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტმა 2016 წელი ევროპულ წლად გამოაცხადა

ამის შესახებ განცხადება გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული გვარდიის დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

„25 წლის წინ ქართული გვარდია დაარსდა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, როდესაც საქართველო იქმნებოდა როგორც თანამედროვე ახალი სახელმწიფო. მაშინ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები იდექით უმნიშვნელოვანეს სადარაჯოზე, რომ დამოუკიდებელი საქართველო შექმნილიყო.

2016 წელს ჩვენ ახალი საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვიზეიმებთ. 2016 წელს ჩვენ ახალ მიზნებს დავინახავთ. ჩვენ დამოუკიდებლიდან თავისუფალი საქართველო უნდა შევქმნათ, თავისუფალი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე ოკუპანტის ჯარი არ დგას, თავისუფალი სახელმწიფო, რომელის თავის სახელმწიფოებრიობას ინდივიდის ირგვლივ ქმნის, თავისუფალი სახელმწიფო, სადაც კანონი უზენაესია ყველასთვის.

თავისუფალია ქვეყანა რომელსაც შეუძლია საკუთარი ისტორიული არჩევანი ცხოვრებაში განახორციელოს. დამოუკიდებლობიდან ჩვენ თავისუფლებას მივაღწევთ. როდესაც ვუყურებთ ამ მიზნებს, რაც ჩვენ წინაშე დგას იდენტურია ევროპული არჩევნის, იდენტურია ჩვენი საზოგადოების ისე განვითარებისა, როგორც ჩვენ წინაპრებს გათვლილი ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, 2016 წელს ევროპული სახელმწიფოს წლად ვაცხადებ. ის მნიშვნელოვანი მიღწევები, რაც ერთად გვაქვს მისაღწევი, გამტკიცდება. ჩვენ ამ მიზნებს განვახორციელებთ,“ — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ვენდოთ NDI-ის კვლევებს?

რუსეთთან ურთიერთობას ყველაზე კარგად „ქართული ოცნება“ გაუმკლავდება, ნატო-სა და ევროკავშირთან - „ნაციონალური მოძრაობა“

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 19% მიიჩნევს, რომ ყველაზე კარგად რუსეთთან ურთიერთობას პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ გაუმკლავდება.

ამავე კვლევის თანახმად, 24% აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას ყველაზე კარგად არც ერთი პარტია არ გაუმკლავდება; 6% კითხვაზე პასუხად „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს, 6% — „თავისუფალ დემოკრატებს“, ხოლო 12% — „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“.

კითხვაზე, ვინ გაუმკალვდება ყველაზე ცუდად რუსეთთან ურთიერთობას, 41% აცხადებს, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის; 27% აცხადებს, რომ ყველაზე ცუდად რუსეთთან ურთიერთობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაუმკლავდება; 8% — „ქართულ ოცნებას“ ასახელებს, 1% — „ირაკლი ალასანია — თავისუფალ დემოკრატებს“, 2% — „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“.

რაც შეეხება ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობის გამკლავებას, კითხვაზე, **„თქვენი აზრით, ყველაზე კარგად რომელი პოლიტიკური პარტია გაუმკლავდება ევროკავშირთან ურთიერთობას?“,** — პასუხები ასე გამოიყურება: ყველაზე კარგად გაუმკლავდება — 17% — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 19% — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; 11% — „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“; 2% — „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“.

რაც შეეხება კითხვას, თუ რომელი პარტია გაუმკლავდება ყველაზე კარგად ნატო-სთან ურთიერთობას, პასუხები ასე გამოიყურება: 16% აცხადებს, რომ ნატო-სთან ურთიერთობას ყველაზე კარგად „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ გაუმკლავდება, 20% — „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს; 11% — „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“; 1% — „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“; 32%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის, ხოლო 12% ასახელებს, რომ არც ერთი პარტია.

ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად, 57% სამუშაო ადგილებს მიიჩნევს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 57 % ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად სამუშაო ადგილებს მიიჩნევს. რესპონდენტს კითხვაზე, რომელი ეროვნული საკითხია მისთვის და მისი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაქსიმუმ სამი პასუხის დაფიქსირება შეეძლო.

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 29 %-სთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია სიღარიბე, ასევე 29 %-სთვის — ტერიტორიული მთლიანობა. პენსიები ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად 28 %-ს მიაჩნია, ხოლო ფასების ზრდა და ინფლაცია 26 %-ს. ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება გამოკითხულთა 20 %-სთვისაა ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი. გამოკითხულთა 68 % თავს დაუსაქმებლად, 32 კი დასაქმებულად მიიჩნევს.

ვის მისცემდით ხმას ხვალ რომ არჩევნები იყოს?

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის თანახმად, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, „ქართულ ოცნებას“ ხმას გამოკითხულთა 16% მისცემდა, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას 10%. გამოკითხულთა 35% აცხადებს, რომ ჯერ არ იცის. კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა გამოკითხულთა 15%-მა. 7% კი აცხადებს, რომ ხმას „თავისუფალ დემოკრატებს“ მისცემდა.

ასევე კვლევის თანახმად, კითხვაზე — „ხვალ რომ არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას“, გამოკითხულთა 64% აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებდა.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კითხვაზე, რომელ პარტიას საერთოდ არ მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 21% ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს, ხოლო 16% „ქართულ ოცნებას“, 25-%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის.

რომელი მიმართულებით ვითარდება საქართველო?

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) მიმდინარე წლის ნოემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აქვეყნებს. გამოკითხულთა 45% თვლის, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, აპრილის გამოკითხვაში მაჩვენებელი 37% იყო.

31% ფიქრობს, რომ საქართველო საერთოდ არ იცვლება, ხოლო 18% - სწორი მიმართულებით ვითარდება.

გვსურს თუ არა ევროკავშირში გაერთიანება?

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 24% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს. გამოკითხულთა 58% კი აცხადებს, რომ საქართველო ევროკავშირში არ უნდა გაწევრიანდეს.

NDI-ის გამოკითხულთა 8% მიიჩნევს, რომ საქართველო არც ერთ ორგანიზაციაში არ უნდა გაწევრიანდეს.

ეხმაურებიან პოლიტიკოსები

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, ის ციფრებში გამოხატულ პარტიულ რეიტინგებს სანდოობის კუთხით არ უყურებს.

მისი თქმით, სამწუხაროდ, ბევრი მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

„საბედნიეროდ, არჩევნების შედეგები არც ერთ კვლევებს არ ემთხვეოდა. კვლევას ერთი და იმავე კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია ატარებს და ის კითხვები, რომელიც წინა პერიოდში ისმებოდა, ისევ რჩება. ციფრებში გამოხატულ პარტიულ რეიტინგებს სანდოობის კუთხით, არ შევხედავდი, რადგან არჩევნების შედეგებს ციფრები არ ემთხვევა. აქ შეიძლება საინტერესო იყოს ტენდენციები. გამოკითხულთა 60 პროცენტი თავის არჩევანს არ ამბობს. რეალისტური ციფრები არ იქნება, რაც მოცემულია. ჩვენ შეგვიძლია, რეალურ მონაცემებს დაველოდოთ, როცა არჩევნები იქნება და უკვე საარჩევნო კამპანია დაიწყო“, — განაცხადა ბესელიამ.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ დღეს გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი აცხადებს, რომ აღნიშნული კვლევების სანდოობა ეჭვქვეშ დგას. მისივე თქმით, საზოგადოებრივი აზრის ზუსტი სურათი არჩევნებზე გამოჩნდება.

„ასეთი ღრმა შეფასებები არ მიმაჩნია საჭიროდ, უფრო ახლო პერიოდში გვექნება ზუსტი სურათი. მართალი გითხრათ, NDI-მ და ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც წლების განმავლობაში ცოტათი თავი შეირცხვინეს კვლევების სიზუსტესთან დაკავშირებით“, — აცხადებს გია ვოლსკი.

კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ ის ნდობას არ იმსახურებს.

მისივე თქმით, „საქართველოსნაირ ქვეყანაში“ 6-თვიანი საარჩევნო კამპანიაც კი საკმარისია სერიოზულ რეზულტატს მიაღწიო.

კვლევის საველე სამუშაოები 17 ნოემბერი - 7 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა საძართველოს მასშტაბით ძართულენოვან მოსახლეობაში 1881 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგელობითი შერჩევის საფუძველზე.

◎ კაკალ გულში

წერილოჯანი ოჯახები

● **ნაცები როცა დებატებზე ჩიხში შედიან, ყოველთვის ბარბარე რაფალიანცს ახსენებენ. ნეტა მიშა მჭავარიანს, ან რომელიმე ნაცს ერთი სანთელი თუ აქვს დანთებული იმ ბავშვის სახელზე, ან ვინმე მათხოვროსთვის 20 თეთრი მიცემული?**

● **გაზაფხულიდან თბილისში გორელ და თელაველ ტაქსისტებთან ერთად მიუნხენელი და მარსელელი ტაქსისტები გაიჩითებიან?**

ელიავას სანტეხნიკოსებზე აღარაფერს ვამბობ!

ახლა მაგათ აუხსენი ყიფშიძე სად არის და გერმანულად უთხარი კრანი მაქვს გამოსაცვლელიო!!!

● **მართლა უნიჭიერესი ხალხი მონაწილეობენ „ვოისში“ და „ნიჭიერში“.**

საქართველოს ხელისუფლებავ, გეკითხები, ნუთუ საახალწლო კონცერტი და საზეიმო განწყობა ისევ მეფარიძეების და სტიოპების „კისერზე“ უნდა გადავიდეს?

თუ ამ ადამიანებზე ექსკლუზივი მხოლოდ „რუსთავი-2“-ს, „იმედს“ და ე.ი. ნაცებს აქვთ?

ნიჭიერი ხალხი მაგათ აჩუქეთ?

ზიკინა და ისევ ტოტო კუტუნიო რომ ამღეროთ, არა?

● **ხალხო, დაანებეთ თავი ამ ერდოღანს და პუტინს, თორე მაგათაც სომხები წაგვართმევენ!**

● **ჯერ ბრაზილიაში უვიზო წასვლა არ მქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი და უცებ მთელი ევროპა არ გამიხსნეს? მაგარი დაბნეული ვარ: პარიზში ჩავიდე, რიოში, თუ რომში.**

არა რა, როგორც კი გზის ფული მექნება, აბაშაში წავალ.

● **მე პირადად საკმაოდ გაურკვეველ სიტუაციაში აღმოვჩნდი. რადგანაც ძალიან კარგად მახსოვს ქ-ონი მანანა კობახიძის განცხადება პოლიტპატიმრებთან მიმართებაში, როდესაც ისინი პარლამენტის წინ, თუ არ ვცდები, 20 დღის განმავლობაში აქციას მართავდნენ - მეტი რა უნდათ, ხომ გავათავისუფლეთო!**

ამ განცხადებასთან დაკავშირებით სტატიაც გამოვაქვეყნე და მე და მამუკა ბაკურიამ საკმაოდ მწვავედ ვისაუბრეთ ჩვენს გადაცემაში.

მახსოვს, რომ სახალხო დამცველის გარდა ამ აქციაზე არც ერთი პარლამენტარი არ მისულა (ყოველ შემთხვევაში მე არ მახსოვს, „ხალხის იმ რჩეულებზე“, რომლებიც სწორედ პოლიტპატიმრების და მათი ახლობლების ტანჯვის წყალობით მოხვდნენ ხელისუფლებაში. აღარაფერს ვამბობ, რადგანაც შუბლის ძარღვი ძალიან მყიფე რამ ყოფილა).

ჰოდა, გაურკვეველ სიტუაციაში იმიტომ ვარ, რომ ამ ყველაფრის საჯაროდ გახსენების შემთხვევაში ავტომატურად ჩავითვლები იმ პოლიტიკური ძალის მომხრედ, ვისაც ყველაზე მეტად აწყობს საზოგადოების დაძაბვა, დაბნევა და თუნდაც მცირე დესტაბილიზაციის წარმოქმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მომიწევს თავის მართლების რეჟიმში გადასვლა და მტკიცება, რომ ნაციონალური მოძრაობა, თავისი ფარული თუ ღია სატელიტებით და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებით, ჩემთვის როგორც პიროვნებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი წარმონაქმნია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

მრჩება ერთადერთი იმედი, რომ ეს სკანდალი არის საკმაოდ ჭკვიანურად ჩაფიქრებული გეგმის ნაწილი, რომელიც პროკურატურის მიერ სწორი გამოძიების შემთხვევაში მოახდენს ე.წ. „მაქციების“ სრულ ლუსტრირებას, რათა მათ აღარ დარჩეთ ქართულ პოლიტიკაში მუდმივი ტივტივის სურვილის ნატამალიც კი.

● **მართლ და წესიერ კაცს ეკა კვესიტაძესთან რა ესაქმება?!**

● **ურუსეთოდ ვიზალიბერალიზაციაც ვერ მოხერხდებოდა. ერთ-ერთი მოთხოვნა ბიომეტრიული პასპორტები ყოფილა.**

თითქოს იბიარდი არ გვეყოფოდა.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ შესრულებული დაპირებები

50 ლარით პენსიის მატება არარეალურია!!!

„მეც ავწევ თამასას და მეტს ვიტყვი, მაგრამ ამით რა“

დასაძმება, სილარიბე, პენსიები, ინფლაცია, სამედიცინო მომსახურება და ხელფასები, — ეს ის მტკივნეული პრობლემებია, რომლებიც ჯერ კიდევ აწუხებს მოსახლეობას, თუმცა, „ქართული ოცნების“ დაპირება ყველა ამ საკითხის მოგვარება ნამდვილად იყო. მეტიც, ეს წელიწადი არათუ უკეთესი, არამედ გაცილებით კარგი უნდა ყოფილიყო... და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანაში დავით სერგეენკო ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, ხოლო ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმები — ყველაზე წარმატებული(!).

პრობლემების სათავე ძვირი წამლებია, ქვეყნის ცხოვრების პირობებისთვის აბსოლუტურად შეუსაბამო, რომელიც კვლავ „დაუმარცხებელ მონოპოლიად“ რჩება ქვეყანაში... ამ დროს უფასო ჯანდაცვაზე საუბარი ცოტა არ იყოს ღიმილისმომგვრელია. შეიძლება ინსულტის, ინფარქტის, ტრავმებისგან იხსნა ადამიანი, მაგრამ მან თუ ვერ შეძლო რეაბილიტაციისთვის აუცილებელი მედიკამენტური მკურნალობა, ყველა სამედიცინო ძალისხმევა წყალში ჩაიყრება. ამ საკითხის ასე ღიად, მხოლოდ ანტიმონოპოლიური სამსახურის ანაბარა დატოვება კი, სახელმწიფოებრივი დანაშულია, რადგან ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობა!!!

და მაინც, გუშინ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა დაცვის კომიტეტმა, როცა საქმიანობის წლიური ანგარიში წარადგინა, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ შეისწავლეს კომიტეტის მუშაობა: UNDP-ის შეფასებითი მისიის დასკვნა დადებითია.

დავით სერგეენკოც ეფექტიანს უწოდებს კომიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებს და ამბობს: **„ბატონ დიმიტრი ხუნდაძესთან და მის აპარატთან თანამშრომლობა ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებულია. მე გამოვყოფდი რამდენიმე კომპონენტს: ეს ეხება საპენსიო ცვლილებებს, რომლის ინიციატორი ბატონი დიმიტრი გახლავთ, თუმცა, ოპონენტები ამას ლამის საკუთარ დამსახურებად მიიჩნევენ. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რეცეპტების სისტემის აღდგენა, რომელიც ბევრ სირთულესთან გახლდათ დაკავშირებული, მაგრამ მაინც გავრისკეთ... ფსიქოტროპული ნივთიერების კვოტირება — ესეც განსაკუთრებულად ფაქიზი თემაა. სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის ამოწურული ლობირების მცდელობა, მაგრამ გპირდებით, რომ მათ გასაქანს არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ. არანაკლებ პრობლემურია მესამე და შემდგომ ბავშვზე დახმარების გაწევა, ორსულების მომარაგება საჭირო პრეპარატებით: ფოლიუმის მჟავითა და რკინის დანამატებით... მადლობას ვუხდით კომიტეტს ნაყოფიერი მუშაობისთვის“.**

მომავალი წლის ბიუჯეტის მესამედი სწორედ ჯანდაცვას და სოციალურ მიმართულებაზე დაიხარჯება. პენსიების 20 ლარით გასაზრდელად 92 მილიონი ლარი დაემატა. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის თანახმად კი მოიმატებს იქ დასახლებული პენსიონერების, დასაქმებულების, დედების დაფინანსება. ეს არის სახელმწიფოს წამახალისებელი აქცია იმ ფონზე, როცა 162 მთიანი სოფელი ფაქტობრივად არ არსებობს.

„რაც შეეხება პენსიების 50 ლარით გაზრდას, ეს აბსოლუტური პოპულიზმია, — ამბობს დიმიტრი ხუნდაძე, — ამ ლოგიკით, მეც ავწევ თამასას და მეტს ვიტყვი, მაგრამ ეს ხომ არარეალურია?!. ცვლილებები შევიდა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონში, ხოლო არასწორად გაცემული ფულადი სოციალური დახმარება დაბრუნებას არ დაექვემდებარა 300-მდე ოჯახისთვის. ქვეყანაში დაინერგა ტუბერკულოზის მკურნალობის ერთიანი სისტემა (ამიერიდან დასაშვებია პაციენტის ნების გარეშე მკურნალობა). საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები მარტოხელა დედების დეფინიციასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები უკანონო აბორტთან დაკავშირებით (7 ათასით შემცირდა აბორტების რაოდენობა). აკრძალვები დაწესდა სელექციურ აბორტთან მიმართებაში, რამაც გაზარდა შობადობა, თუმცა, უახლესი წლები მაინც მოგვიწევს დაბალი შობადობის რეჟიმში ყოფნა“, — აღნიშნა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად დემოგრაფია რჩება. ცვლილებები შევიდა კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, დაბერების პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კომიტეტთან შეიქმნა მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** ოპონენტთან გასაგონად აღნიშნა, რომ სრულიად არასამართლიანია საყვედურები ჯანდაცვის სფეროს ყველაზე მეტ დაფინანსებასთან დაკავშირებით. **„2015 წელს მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში მხოლოდ 2,5 პროცენტია. იმის მიუხედავად, რომ საყოველთაო ჯანდაცვამ შვება მისცა მოსახლეობას, ჯანდაცვისთვის მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფული მაინც 68 პროცენტი რჩება. ამიტომ, ჩემი აზრით, სახელმწიფოს წილი ამ კომპონენტში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. შესაბამისად, საჭიროა ჯანდაცვის ბიუჯეტის მუდმივი მზარდი დაფინანსება“.**

> **2015 წელს მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში მხოლოდ 2,5 პროცენტია. იმის მიუხედავად, რომ საყოველთაო ჯანდაცვამ შვება მისცა მოსახლეობას, ჯანდაცვისთვის მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფული მაინც 68 პროცენტი რჩება. ამიტომ, ჩემი აზრით, სახელმწიფოს წილი ამ კომპონენტში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. შესაბამისად, საჭიროა ჯანდაცვის ბიუჯეტის მუდმივი მზარდი დაფინანსება.**

რაც შეეხება სააფთიაქო ნარკომანიას, დიმიტრი ხუნდაძის თქმით, ის დამარცხების ზღვარზეა. მაგალითად, კოდეინის შემცველი პრეპარატები 5 ათასიც კი საკმარისია ფარმაცევტული მომსახურებისთვის, არადა, ქვეყანაში 15 მილიონი შემოდიოდა. საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეები საზღვარს კვეთენ ნარკოტიკების მოხმარების მიზნით, ვინაიდან ქვეყანაში ნარკოპოლიტიკა გამკაცრდა.

ცნობილი ნარკოლოგი გელა ლეჟავაც ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მართებული გზა აქვს არჩეული ამ სენის დასამარცხებლად, თუმცა, ძალიან რთული... **„აშშ-ში 2014 წელს 47 ათასი, ხოლო 2015 წელს 150 ათასი ადამიანი მოკვდა ზედოზირებით, აფთიაქიდან გამოტანილი წამლებით. იქაც, მუშაობს რეცეპტების სისტემა, მაგრამ დარღვევა ექიმების ჩართვით ხდება. პრობლემა იმდენად საშიშია, რომ უკვე ობამაც კი აქტიურად ჩაერთო. ნარკოპოლიტიკის შეზღუდვა აუცილებელია, მაგრამ ამისთვის მხოლოდ სამინისტროს ან კომიტეტის ძალისხმევა არ კმარა. საჭიროა, აქტიურად ჩაერთონ გამგეობები და საკრებულოები. ნარკობიზნესი უაღრესად მდიდარია. მათ თითქმის ყველაფერი აქვთ ამ სენის გასავრცელებლად... ყოველწლიურად 450 ახალ პრეპერატს იგონებენ. ამდენად, უნდა გავიაზროთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ლოკალური, ქართული პრობლემა. ნარკოპოლიტიკა უფრო გლობალურია“,** — დასძინა მან.

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ლევან ბეჟაშვილს თავს დაესხნენ

პარლამენტის წევრს ლევან ბეჟაშვილს კვირას გვიან ღამით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავს დაესხნენ. კიევიდან თბილისში დაბრუნებულ დეპუტატს მგზავრთა გამოსასვლელთან რამდენიმე პირმა ჯერ ფიზიკური, შემდეგ კი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„პოლიტიკურ ლიდერებზე ხდება თავდასხმა. ეს წახალისებულია ხელისუფლებისგან და არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვეყანაში სტაბილურობა იყოს, კრიმინალთან ბრძოლა ხდებოდეს,“ —განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა. სამართალდამცავებმა ინციდენტის 2 მონაწილე შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ფაქტზე გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო.

მზადდება შეწყალების ახალი აქტი

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის ინფორმაციით, მზადდება შეწყალების ახალი აქტი. მისი თქმით, შეწყალების კომისია მთელი გასული კვირის განმავლობაში მუშაობდა და ახალი აქტი მზადდება.

რაც შეეხება ე.წ. პატიმრების შეწყალების საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას, ქორიძის თქმით, მედიის წარმომადგენლებმა მთავარ პროკურატურას უნდა მიმართონ. ჟურნალისტების შეკითხვას, სანდო იყო თუ არა შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის განცხადებები, ზვიად ქორიძემ უპასუხა, რომ ამაზე ჟურნალისტებმა ალეკო ელისაშვილს უნდა მიმართონ.

◎ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები

„რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დღესდღეობით ვერ აღდგება და ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც იციან, რატომ“

„საძართველო ცდილობს, რუსეთთან ურთიერთობები ღრმა ჩიხიდან გამოიყვანოს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე. მისი განმარტებით, სანამ მოშლილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მანამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პროცესი დღის წესრიგში არ დადგება.

როდის გააუქმებს რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს? — ამ და სხვა საკითხებზე for.ge ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.

—ბატონო ზურაბ, მოვისმინეთ რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ რუსული მხარე აპირებს, გააუქმოს ან მნიშვნელოვნად გაამარტივოს სავიზო რეჟიმი საქართველოსთან. ელოდებით, რომ ეს პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება?

„ჯილდო“ რუსეთთან კრიჭაში დგომისთვის

საძართველოს მოსახლეობისთვის ევროკავშირში უვიზო შესვლის საშუალების მიცემა, მართლაც მნიშვნელოვანი რამ არის. აიღებ ბიომეტრიულ პასპორტს და გაუყვები ევროპის გზას. მართალია, რეგულაციების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირში დასაქმების და ხანგრძლივად ყოფნის უფლება არ აქვს, მაგრამ ის, რაც არგუნეს, ცოტა არ არის. ხანმოკლე ვიზიტისთვის უდავოდ დიდი შეღავათია უვიზო მიმოსვლა.

...25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა რა ექსპერიმენტები (ერთობ არასასიამოვნო და აუტანელი) არ ჩაუტარა საკუთარ თავს ევროპაში არალეგალური მოხვედრისთვის და მიუხედავად უდიდესი სირთულეებისა, მაინც მოახერხა ევროპის ფინიშის ხაზის გადაკვეთა.

საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა დღესაც არალეგალურად ცხოვრობს ევროპის ქვეყნებში და ცხოვრობს არაერთი წლის განმავლობაში. უაღრესად მძიმე პირობებში უხდებათ მათ დამქირავებლისთვის თავის მიქირავება.

ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, ევროპაში მუშაობის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის ბევრი რამ შეიცვლება, ცხადია, უკეთესობისკენ. მართალია, დასაქმების მხრივ არაფერი შეიცვლება, მაგრამ იქ შეღწევის ბარიერები უდავოდ მოიხსნება.

ვიმეორებ, სიცოცხლის რისკი, მძიმე ხარჯები, ისტორიას ჩაბარდება და ის, ვინც სულმოუთქმელი ელის ევროპაში სამუშაოდ გამგზავრებას, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ ახერხებს და ისიც, ვინც ამაზე ნაკლებად ფიქრობს, გაუდგება ევროპის გზას — ვითომ ხანმოკლე ვიზიტით, სინამდვილეში, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ. განა იშვიათია მსგავსი მაგალითები ჩვენს „დამოუკიდებელ და სუვერენულ“ ცხოვრებაში?!

საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრების თემა უცხო არ არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ევროკავშირში გაწევრების შემდეგ, პოლონელები დიდ ბრიტანეთს მიაწყდნენ; ბალტიისპირა ყოფილი სამი საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეები — დიდ ბრიტანეთს, სკანდინავიის ქვეყნებს; ბულგარელ-რუმინელები — საფრანგეთს, გერმანიას, ევროკავშირის სხვა დაპურებულ სახელმწიფოებს.

ბალტიისპირა სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ჯამური მოსახლეობა 8 მილიონიდან 6 მილიონამდე შემცირდა, ისე როგორც ბულგარეთის, რუმინეთის. დანაკლისი განიცადა საქართველომაც. დაუზუსტებელი მონაცემებით, მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანია გასული ქვეყნიდან. სწორედ, მათი შრომის შედეგად ცხოვრობს შინ დარჩენილი დაუსაქმებელი ოჯახის წევრები.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას უდავოდ შეუწყო ხელი შინ არსებულმა აუწყობელმა ცხოვრებამ, სამუშაო ადგილების დეფიციტმა, ხელისუფალთა გამუდმებულმა ტყუილებმა, სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით და ა.შ.

დიახ! ევროკავშირში დასაქმების მსურველთათვის ვიზალიბერალიზაცია მისწრებაა, მაგრამ ის, რაც კარგია ერთი მოქალაქის ან მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისთვის, კარგია ქვეყნისთვის? ამ კითხვაზე პასუხის, თანაც კვალიფიციურის გაცემა ხელისუფლების პრერროგატივაა.

დიახ! მან უნდა გვიპასუხოს, რას გამოიწვევს ვიზალიბერალიზაცია. ის განცხადდება, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ ევროპაში მიმოსვლა ტურიზმის თვალსაზრისით ან ბიზნესის აწყობისთვის, რეალობასთან ახლოა, მაგრამ რამდენია ამ კატეგორიის ადამიანი, დამშეული, დაუსაქმებელ, გაღატაკებულ საქართველოში?! უაღრესად ცოტა. მოსახლეობის 90%-ისთვის ევროპა ისეთი შორეული იქნება, როგორც იყო და იქნება მანამდე, ვიდრე ლუკმაპურის ძებნაში ათენებს და აღამებს.

მადლობა ხელისუფლებას, რომელმაც იშრომა ვიზალიბერალიზაციისთვის, მაგრამ სირცხვილი მას იმ აუტანელი პირობებისთვის, რის გამოც ხალხი იქ გარბის და ისედაც დაცარიელებული ქვეყანა ყუამდე დაყავს. გადახედეთ საქართველოს დემოგრაფიას, გაუკაცრიელებულ სოფლებს, რაიონებს. ასეთის შემხედვარე, სხვაგვარად უნდა აზროვნებდეს.

ცალკე განსჯის თემაა რუსეთის პრეზიდენტის განცხადება საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზის გაუქმების თაობაზე. ქართულმა პოლიტიკამ და საზოგადოებამ, რატომღაც ეს საკითხი ორი ქვეყნის პოლიტიკურ ურთიერთობებს დაუკავშირა და ერთობ საჩოთირო აზრები გამოთქვა ელექტრონულ მედიაში. ცხადია, იყო დადებითი მოსაზრებებიც, მაგრამ იყო უაღრესად უარყოფითიც, რაც სერიოზულ განსჯას საჭიროებს.

საქართველოს ყველა ხელისუფლებას არაფერი დაუკლია საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა გაუარესებისთვის. სავიზო რეჟიმის შემოღებაც „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის ევრო-ატლანტიკური აზროვნების და ამერიკელი მასწავლებლების წინაშე გაგორებული კოჭის ნაყოფია. სწორედ, მათ წამოიწყეს რუსეთთან ვიზის შემოღების თემა და ნახევარი წლის განმავლობაში შეძლეს მიზნის მიღწევა.

ლანძღვა-გინების კორიანტელი ახალი ძალითა და შემართებით გაგრძელდა ე.წ. რეფორმატორების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ლანძღვა-გინების და ანტირუსული პროპაგანდის შედეგია ის, რასაც მე ვისმენდი რადიო „მაესტროს“ გადაცემაში „ხალხის აზრი“ — რუსეთი ჩვენი მტერია, საქართველოს ტერიტორიების დამპყრობელი, ცხინვალში ქართველი მეომრების უმოწყალო მხოცავი და ა.შ.

რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება გაცილებით მეტს ნიშნავს საქართველოს მოსახლეობისთვის, ვინაიდან სწორედ იქ არის საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და არა ევროკავშირის ქვეყნებში — არაოფიციალური მონაცემებით მილიონზე მეტი. რუსეთში მყოფი ქართველები თავს ნამდვილად არ თვლიან მეორეხარისხოვან ადამიანებად. ისინი რუსეთის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. საკმაოდ დაფასებული, ხშირად, სამაგალითონიც. სწორედ მათი გამოგზავნილი ფულით ცხოვრობს საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები, ახლობლები.

რუსეთთან ვიზების გაუქმება ხელს შეუწყობს ნათესაური, მეგობრული კავშირების აღდგენას, ბიზნეს-საქმიანობის განვითარებას, საქართველოს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შეტანას. ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასაც ურთიერთსასარგებლო კონტაქტები ჰქვია და ისეთს, რასაც ევროკავშირთან არ ექნება ადგილი. ვისაც ქვეყნის შენარჩუნება და კავშირების განმტკიცებით მისი ფეხზე დაყენება სურს, მადლიერებით და არა უაზრო კრიტიკით უნდა შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტის კეთილ ნებას — ვიზების გაუქმების თაობაზე. ამაში მაინც ნუ ვიქნებით უმადურები, ისე, როგორც ისტორიულ სინამდვილეში.

თავისთავად იბადება კითხვა — მაინც რა დამსახურებისთვის „გააბედნიერა“ ევროკავშირმა უკრაინა, საქართველო და კოსოვო? რა არის ამის მიზეზი, ვითომ მარტო ის, რომ სამივემ, განსაკუთრებით, უკრაინამ შეასრულა „რესპექტაბელური“ ორგანიზაციის მოთხოვნები? გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ მსგავსი მოსაზრება დაიჯეროს. ანდა, როგორ დაიჯერებ, ერთობ დაუჯერებელს, რომ უკრაინამ ფრიადზე შეასრულა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, განამტკიცა საზოგადოებრივი წესრიგი, დაიცვა ეროვნული უმცირესობების და განსაკუთრებით უმცირესობის უფლებები, ანუ „ცისფრების“.

ვინც პრეზიდენტ პოროშენკოს საბჭოს სხდომის ვიდეოსიუჟეტს მოჰკრა თვალი — გამხეცებული ოდესის გუბერნატორის სააკაშვილისა და უკრაინის შს მინისტრის ავაკოვის დაპირისპირებით, შესაბამისი ბილწი ტერმინოლოგიით, სადაც სიტყვა „ქურდი“ ჭარბობდა დედის გინებას; ვინც ყური მოკრა უკრაინის შს მინისტრის მოადგილის ზღულაძის კიევის ბორისპოლის აეროპორტში 4 საათით დაკავებას, ქვეყნიდან საეჭვო ტვირთის გატანის მცდელობისთვის (ჩემოდანში ჩადებული 40 კგ-ს - 4 მილიონი აშშ დოლარი); ვინც მთელი წლის განმავლობაში თვალს ადევნებს უკრაინის ნებისმიერ კუთხეში „მარჯვენა სექტორის“ ექსტრემისტების და ბანდერელების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს, მათ შორის თავდასხმებს ეკლესიებსა და მღვდლებზე, კორუფციას, კორუფციას და კორუფციას, ვერაფრით გაამართლებს უკრაინისთვის მიცემულ „ჯილდოს“.

ევროკავშირის მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ სამივე დასაჩუქრებული ქვეყანა მართლაც დაადგეს აღმშენებლობის გზას, არამედ სამივე მუდამ კრიჭაში ედგეს რუსეთს და თავისი ქცევით, პრობლემები შეუქმნას მას. ვიზალიბერალიზაციის ბოძება ჯილდოა იმ სამსახურისა, რასაც სამივე ქვეყნის ხელისუფლება აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ.

ისე, როგორც ასოცირებული წევრობა, ვიზალიბერალიზაციის შორს მიმავალი პროგრამა — ანტირუსული შინაარსისაა და რომ არა ის, არც ასოცირებული წევრობა იქნებოდა და არც ვიზალიბერალიზაცია. რა გაეწყობა, ამ შემთხვევაშიც, რუსულმა ფაქტორმა განაპირობა „ჯილდოს“ მოპოვება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები

— 19 ნოემბერს პრაღაში მქონდა შეხვედრა ჩემს რუს კოლეგასთან და მისგანაც მოვისმინე ეს. თქვენც მოგიყევით, რომ რუსეთის მხრიდან მოვისმინეთ ნათელი განცხადება იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ასე რომ, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენ ამას ველოდით და ვიცოდით, რომ ეს გადაწყვეტილება მზადდებოდა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ნამდვილად სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დაინტერესებულია რუსეთთან უპრობლემო მიმოსვლის არსებობით, როგორც რიგითი მოქალაქეები, ასევე, ბიზნესმენები, რომლებიც საქმიანობენ რუსეთში და ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში.

ზოგადად, ნებისმიერი დემოკრატული ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს გადაადგილების მაქსიმალური თავისუფლება ჰქონდეთ ნებისმიერი მიმართულებით . ამ პროცესში პირადად პოზიტივს ვხედავ და ჩვენი მოქალაქეებიც ასე აღიქვამენ. მოვისმინე ოპონენტების კომენტარებიც და უმრავლესობა ამ აზრზე არის, თუ არ გავითვალისწინებთ მაქსიმალისტურად განწყობილი პოლიტიკოსების საკმაოდ მცირე ნაწილს.

— როგორ წარმოგიდგენიათ სავიზო რეჟიმის გაუქმება იმ ფონზე, როდესაც რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გახსნილი აქვს საელჩო?

— ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაშლა მოხდა 2008 წელს. სამწუხაროდ, ჩვენი უგუნური პოლიტიკით შევუწყვეთ ხელი ამ პროცესს, ახლა ამის გამოსწორება ძალიან რთულია. ამ კუთხით უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვხვდა, ძალიან ღრმა ჩიხშია შეყვანილი ქართულ-რუსული ურთიერთობა და ახლა ნელ-ნელა ვცდილობთ გამოვიდეთ ამ ჩიხიდან.

ყველაფერს ერთიანად ვერ მივაღწევთ, მაგრამ რისი გაკეთება შეიძლებოდა და სადაც შეიძლებოდა, რომ შედეგი მიგვეღო, ამ მიმართულებით შედეგი მივიღეთ — როგორც ექსპორტის აღდგენის თვალსაზრისით, ასევე, ჩვენი სატრანსპორტო კომპანიების სატვირთო გადაადგილებებში ჩართვის კუთხით. გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა, გარდა ამისა, ჩვენ დავიბრუნეთ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ჩვენი მოქალქეები.

— ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული რამდენი ქართველი რჩება დღეს რუსეთის საპატიმროში?

— რამდენიმე დარჩა. ამ წუთის მდგომარეობით შევძელით ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული სამი ქართველის დაბრუნება და იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში დანარჩენებსაც გადმოგვცემენ. სამწუხაროდ, ყველა მიმართულებით არ გვაქვს გარღვევა, რაც მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს დამოკიდებულია საერთაშორისო პროცესებზე, რუსეთზე და, რა თქმა უნდა, იმ პრაგმატულ პოლიტიკაზე, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ და რასაც შედეგები მოაქვს. ვცდილობთ, რომ ღრმა ჩიხიდან გამოვიყვანოთ ჩვენი ურთიერთობები და ამის რაღაც პატარა ნიშნები ნამდვილად არის. ასე რომ, სოლიდურად, მშვიდად, ამავე დროს, პრინციპულად უნდა გავაგრძელოთ საგარეო კურსი. იმედი მაქვს, მომავალ წელს, კიდევ უფრო ხელშესახები შედეგები გვექნება.

— სავიზო რეჟიმის გაუქმება ნიშნავს თუ არა იმას, რომ ავტომატურად დაიწყება დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და, საერთოდ, დგას ეს საკითხი დღის წესრიგში?

— არა. სანამ მოშლილია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, სანამ ამ თვალსაზრისით სერიოზული წინსვლა არ იქნება. რუსეთთან ჩვენ ვაწარმოებთ პირდაპირ დიალოგს, განვიხილავთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, სატრანსპორტო კომუნიკაციებს, ჰუმანიტარულ პრობლემებს. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგში არ დგას, ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც იციან, თუ რატომ — ეს დაკავშირებულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის საკითხთან. სანამ არ მოხდება სერიოზული გარღვევა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დადგება, მაგრამ თუ იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯები ამ თვალსაზრისით, რაღაც ეტაპზე, ალბათ, ამ საკითხის განხილვაც იქნება შესაძლებელი, მაგრამ არა ახლა.

თამთა ძარჩავა

ი.ი. მელცერი

მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ახალგაზრდობაა და იგი თავისას მოითხოვს. „სილამაზე კი, – ამბობდა თ. რანევსკაია ფილმში „გაზაფხული“, – ეს საშინელი ძალაა“. იაკობ ჯუღაშვილი ერთ-ერთი ჩინოვნიკის სამდივნოში შეხვდა ულამაზეს იულია ბასარაბს და შეუყვარდა იგი. იულია (იუდიფ მელცერი) თავისი ოჯახით ოდესაში ცხოვრობდა. მოსკოვში ის აღმოჩნდა ჩინოვნიკ ნ.პ. ბესარაბთან მორიგი ქორწინების შემდეგ, ვინც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობდა.

გალინა წიგნში „ბელადის ოჯახის საიდუმლო“ გვიამბობს, რომ დედამისი ოდესაში კაბარეს მოცეკვავედ მუშაობდა. ის წერს: „დედა პირველი ქორწინების შემდეგ გაიქცა სახლიდან –„საბალეტო ცხოვრება დაიწყო“... (გ.ი. ჯუღაშვილი, ბელადის ოჯახის საიდუმლო, 2007, გამომცემლობა „ზებრა“).

ის „პირველი მიმდინარეობის“ ერთ-ერთ ჯგუფში მიიღეს. ჯგუფი მთელს უკრაინაში დაფრინავდა. ცხოვრება ბორბლებზე შეჩერებებით დიდგვაროვანთა სახლებში, რომლებიც გადაკეთებული იყო საერთო საცხოვრებლებად, ახალგაზრდული ცხოვრება, უფროსობის უღლისგან და კონიუნქტურაზე ზრუნვისაგან თავისუფალი, აღსავსე იმით, რასაც დღეს „შემოქმედებით აღმავლობას“ უწოდებენ და მხიარული მუშაობით, ფეთქდებოდა ხოლმე შეძახილებით „ბის“, ბრწყინავდა რამპის ცეცხლით... დარბაზი გუგუნებდა. დედა გამოფრინდებოდა ხოლმე სცენაზე და ასე შემდეგ. თუმცა თავისი მშობლების გაცნობას გალინა აღწერს რომანტიკულ ვითარებაში. თავის წიგნში ის წერს: „სახელგანთქმული მოვლენა, რის გარეშეც მე არ შემეძლო გავჩენილიყავი ამ ქვეყანაზე, მოხდა მალე ბესარაბისა და დედას მოსკოვში გადასახლების შემდეგ“. დედა იყო დიდ თეატრში ანა სერგის ასულ ალილუევასთან ერთად და ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა კაცს, ვისაც იგი მიესალმა. „ოი, რა საინტერესო ახალგაზრდა კაცია, – უთხრა დედამ ანა სერგის ასულს, – გამაცანი ის“. გაცნობა მოხდა და, როგორც ის წერს, „მამამ თეთრი დროშა გადმოაგდო“. სხვა სიტყვებით, იაშას უმალვე შეუყვარდა ის, და იულია, ვინც ქმარი ბესარაბი მიატოვა, გათხოვდა სტალინის ვაჟიშვილზე. შემდეგ იგი საინტერესოდ აღწერს ახალგაზრდების შეხვედრას ი.ბ. სტალინთან. „როდესაც ზუბალოვოში გაემგზავრნენ პაპასთან გასაცნობად, დედა სრულიად მშვიდად იყო... დედა მართალი აღმოჩნდა. ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. „მოხუცი“ დაუსრულებლად ხუმრობდა, აჭმევდა დედას ჩანგლით, და პირველი სადღეგრძელოც მას მიუძღვნა“...

შევწყვეტ საუბარს და დავსვამ შეკითხვას, რომელიც სვეტლანა ალილუევას მივეცი უცხოეთიდან მისი დაბრუნების შემდეგ: „ნახა კი საერთოდ სტალინმა თავისი შერისხული შვილის ახალი ცოლი?“ საქმე ისაა, რომ ი.გ. მურინმა წიგნში „იოსებ სტალინი ოჯახის გარემოცვაში“ მოათავსა ალიოშა სვანიძის ცოლის –მ.ა. სვანიძის დღიურის ჩანაწერი: „28-ში სვეტოჩკას დაბადების დღესთან დაკავშირებით კრემლში იყვნენ „დეიდები“... პირველად იყო იაშა ცოლთან ერთად. „ი“ (შემოკლებით სახელი იოსები“) არ მოსულა, ჩემი აზრით, განგებ. ის უკან სწევდა სიამოვნებას – გაცნობოდა ახალ რძალს. მართლაც, დიდად არაფერია სასიხარულო. ქალი კარგია, იაშაზე უფროსი, ის მისი მე-5 ქმარია, თუ სხვებს არ ჩავთვლით, არც თუ დიდად გონიერი, ნაკლებად კულტურული, გამოიჭირა იაშა... და თანაც იულია – რაღაც ავანტურისტია“ (დოკუმენტების კრებული „იოსებ სტალინი ოჯახურ გარემოცვაში“. შემდგენელი მ. მურინი, 1993 წ.) „კი, – მითხრა სვეტლანა იოსების ასულმა, – იყო ერთი შეხვედრა, და ისიც თავად იაშას თხოვნით. იულია ფეხმძიმედ იყო და ის გაკეცილი გაზეთით იფარავდა მუცელს“.

დნმ-ს ანალიზი

ახლა ფულადი გზავნილების შესახებ. როგორც გალინა ამტკიცებს, ფულს ურიუპინსკში აგზავნიდა მისი დედა. გაზეთში „არგუმენტი ი ფაქტი“ №44, 1999 წ. ის ჟურნალისტს ეუბნებოდა: „დედამ მიამბო, რომ, როდესაც გაიგო, რომ ბავშვი მამაჩემისგანაა, ძალიან ეშინოდა, რომ ეს ამბავი მივიდოდა მამამთილამდე, და გადაწყვიტა დახმარებოდა ამ ქალს. მან დაიწყო ფულის გაგზავნა ბავშვისთვის... ალბათ, დედისგან ეს საფოსტო გზავნილები შეაფასა მმაჩმა, როგორც ალიმენტი. ასე მიიღო ევგენიმ ჩვენი გვარი“. ჟურნალისტის შედავებაზე, რომ ძნელია ამ ამბის დაჯერება, მან განუცხადა: „მე არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩვენი ნათესაობა შეიძლება მეტად მარტივად დაადასტურო ან უარყო. საკმარისია დნმ-ს ანალიზი. თუმცა, ვფიქრობ, ძნელად რომ ევგენი ამაზე დათანხმდეს“.

მე კი დავეთანხმე და იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში №47, 1999 წ. (სპეციალურად ჩავედი რედაქციაში) გამოქვეყნდა ჩემი განცხადება. მასში მე ჩავწერე, რომ ჩემი და გალინა ჯუღაშვილი მრავალი წლის განმავლობაში დაჟინებით მოითხოვს მოეწყოს ჩემი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 239

ევგენი ჯუღაშვილი

პაპაჩემი სტალინი.

„ის წმინდანია“



დნმ-ს ანალიზი. რადგან იგი დაინტერესებული მხარეა, მან უნდა განახორციელოს და გადაიხადოს კიდეც ამ პროცედურისათვის. მე პირადად ეს ანალიზი არ მჭირდება, გავიდა კვირა, მეორე, თვე, მეორეც და ასე შემდეგ, მაგრამ დაინტერესებულმა მხარემ, ეტყობა, დაკარგა ყოველგვარი ინტერესი და დუმილს იცავდა.

როდესაც ორი წლის გავხდი, დედამ მოსკოვში წამიყვანა იაკობისთვის რომ ვეჩვენებინე. ტელეფონით ის ცოლთან იულია ისაკის ასულთან მოხვდა, რომელმაც შესთავაზა მიეცა ბიჭი. სვეტლანა ალილუევა აღასტურებს: „დიახ, იყო ასეთი საუბარი“. დედას შეეშინდა, რომ მე შეიძლება გადამცენ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში სხვა გვარით და სასწრაფოდ წამიყვანა უკან ურიუპინსკში. ჰორიზონტზე კი ომი იდგა.

ი.ბ. სტალინის გარდაცვალება

1953 წლის 6 მარტს დილით სასწავლებელში (ევგენი სუვოროვის სასწავლებელში სწავლობდა – **„სრ“**) მებუკემ ჩვეულებისამებრ პირველ სართულზე მისცა ბრძანება „ადგომა“. ავდექით, ჩავიცვით, გამოვედით დერეფანში, როგორღაც მოვეწყვეთ. მორიგე ოფიცერმა გასცა განკარგულება: „მარჯვნისა-კენ!“ თუმცა იქვე ხმამაღლა თქვა: „არ არის საჭირო!“ „კვლავ რაღაც დაავიწყდა“, – გავიფიქრეთ ჩვენ. „ამხანაგო აღსაზრდელებო, – დაიწყო მან წყნარი აკანკალებული ხმით, – გუშინ, 5 მარტს, – როგორც კი გაისმა ეს სიტყვები, დადგა აბსოლუტური სიწყნარე, – საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი“. აბსოლუტურ სიწყნარეში მან წყნარად, თითქმის ჩურჩულით გასცა განკარგულება „მარჯვნისაკენ, ნაბიჯით იარ“. როდესაც კიბეზე ჩამოვდიოდით, თვალზე ნაკადად ჩამომდიოდა ცრემლი. რასაკვირველია, დილის ვარჯიშზე არავის არაფერი არ გაუკეთებია. უბრალოდ ვიდექით ყინვაში ათი წუთი და დავბრუნდით.

საუზმის შემდეგ მთელი სასწავლებელი კლუბში შეიკრიბა, მეცადინეობა გადაიდო, საუბრები ნახევარ ხმაზე მიმდინარეობდა. ყველას ესმოდა, რომ მოხდა წარმოუდგენელი რამ. შევიკრიბეთ კლუბში. სცენაზე გამოვიდნენ სასწავლებლის უფროსი გენერალ-მაიორი ნერჩენკო და სასწავლო ნაწილის გამგე პოლკოვნიკი პ.პრიანიშნიკოვი. გახსნეს სამგლოვიარო მიტინგი. ნერჩენკომ თქვა: „ჩაესვენა ჩვენი მზე“, და ატირდა. ჩემს გვერდით ვასილ სტალინის ვაჟიშვილი საშა იჯდა. ის რამდენიმე თვის წინათ ჩამოვიდა სასწავლებელში ვასილიევის გვარით. მისი ჩამოსვლის შემდეგ ჩვენს შორის დამყარდა ყველაზე მეგობრული ურთიერთობა. ისეთი, როგორიც ჩვეულებრივად არის უფროსსა და უმცროს ძმებს შორის – მე გამოსაშვებ მეშვიდე კლასში ვიყავი, ის – პირველში. ის ხშირად მელოდებოდა ხოლმე სასადილოდან გამოსასვლელში. სამგლოვიარო კრების შემდეგ საშა მოულოდნელად სადღაც გაქრა. ეტყობა, ვიღაც ჩამოვიდა ვასილ სტალინისგან და წაიყვანა ის მოსკოვში დაკრძალვაზე. მე მოსკოვში დამოუკიდებლად ჩავედი. მატარებლები არ დადიოდნენ და მე მირჩიეს მიმემართა სამხედრო აეროდრომ „მიგალოვოს“ ხელმძღვანელობისათვის. როდესაც პირადობის მოწმობა მივიღე, აეროდრომზე გავემგზავრე. „მოგილოვოს“ უფროსი პოლკოვნიკი, როდესაც გაიგო, ვინ ვიყავი და რას ვთხოვდი, აღშფოთდა: „ერთი შვილიშვილი გავაგზავნე, ახლა მეორე მოვიდა“. ჩამსვეს სადესანტო თვითმფრინავში ლი-2. მივფრინავდით ძალიან დაბალ სიმაღლეზე – დაახლოებით 300 მეტრზე. ეკიპაჟმა ტყაპუჭი მომცა, ვინაიდან სალონში, სადაც მხოლოდ ლითონის საჯდომები იყო, ძალიან ციოდა. დავჯექით მოსკოვში აეროდრომ „ბიკოვოზე“. სახლში გამცილებელმა ოფიცერმა მიმიყვანა. ბიძაჩემთან – დეიდაჩემის ქმარი ვიქტორ ვასილის ძე რახმანინოვი იმ დროს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა პოლკოვნიკის ჩინით. თავისი მოწმობისა და სუვოროვის სასწავლებლიდან ჩემი გამოსაშვები ბილეთის გამოყენებით მან გამატარა ყველა დერეფანი პირდაპირ კავშირის საბჭოს სვეტებიან დარბაზში, სადაც გამოსათხოვრად იწვა ი.ბ. სტალინი. ამრიგად, მე მეორედ დავინახე ჩემი პაპა, თუმცა უკვე კუბოში.

ბიძია ვასია და ბიძია ვიქტორი

28 მარტს, დაკრძალვიდან სამი კვირის შემდეგ დაპატიმრეს ვასილ სტალინი: „ანტისაბჭოთა აგიტაციის, პროპაგანდისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის“. შემდეგ მას მიუსაჯეს 8 წლით პატიმრობა და გაგზავნეს ვლადიმირის ცენტრალში. ვასილის დაპატიმრების შესახებ მე სუვოროვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში ჩამოსვლის დროს გავიგე და ეს ამბავი ნიშნის მოგებად აღვიქვი. საქმე ისაა, რომ ჩემში კვლავ დუღდა წყენა მარტის ტანჯვა-წამების გამო. ჯერ ერთი, მან სასწავლებლიდან წამოიყვანა მხოლოდ თავისი შვილი, თავისი ძმისწული კი მიატოვა. მე მომიწია თავად ჩავსულიყავი დახურულ ქალაქში და, როგორც აღმოჩნდა, კუბოსთან. წარმოიქმნა პრობლემა – ახლა როგორ მოვხვდე სვეტებიან დარბაზში. იმის წარმოდგენაც ძნელია, რა ხდებოდა მოსკოვში. დედამ შემთავაზა მაინც წავსულიყავი ვასილთან.

გოგოლის ბულვარზე ცალკე სახლში ჯერ დააზუსტეს, თუ ვის სურს პატრონის ნახვა, შემდეგ მიმიყვანეს მეორე სართულზე „საბავშვო“ ოთახში, სადაც სიხარულით დავინახე ჩემი ბიძაშვილი – სუვოროველი საშა და მისი უმცროსი და ნადიუშა. მთელი სამი საათი ვისხედით ამ პაწაწინა ოთახში, მაგრამ მისი პატრონი მაინც არ გამოჩენილა. სამივე ვღელავდით. „დაზვერვაზე“ ზოგჯერ საშა გადიოდა, მაგრამ ყოველთვის დაბრუნების შემდეგ თითქოს ბოდიშს იხდიდა, თანაგრძნობით ამბობდა: „ჯერ არ მოსულა“. სადილისათვის შემოგვთავაზეს ჩავსულიყავით სასადილოში, დამამახსოვრდა ძალიან გემრიელი რასოლნიკი თირკმლებით. კინოდარბაზში გვიჩვენეს ფრაგმენტები სტალინის გამოსახულებით, რის შემდეგაც ჩვენ კვლავ „საბავშვო“ ოთახში გაგვაგზავნეს. მორიგი დაზვერვის შემდეგ საშა დაბრუნდა სიტყვებით: „მამა წავიდა“. მე მივხვდი, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ვასილი სახლში იყო, მაგრამ არ უნდოდა ჩემი ნახვა.

ბიძია ვიქტორმა შემოგვთავაზა დამოუკიდებლად გაგვევლო კორდონები, რაც ჩვენ გავაკეთეთ კიდეც, სვეტებიანი დარბაზის შესასვლელში ჩვენ საერთო რიგში ჩაგვაყენეს. კუბოსთან, ოდნავ გვერდით, ბიძაჩემმა შენიშნა სკამები და რამდენიმე იქ მჯდარი ადამიანი, მე სტალინის სახის გარდა ვერაფერს ვხედავდი. „არ გინდა, – შემეკითხა წყნარად ბიძია ვიქტორი, – იქ... იმათთან?“ „არა“, – ვუპასუხე მე, და ჩვენ დავტოვეთ დარბაზი.

ვასილის დაპატიმრების შემდეგ ბავშვები დედასთან გალინა ბურდონსკაიასთან ერთად ცხოვრობდნენ მის დედასთან ანასტასია ტერენტის ასულთან. ზოგჯერ ისინი ჩამოდიოდნენ ჩვენთან მე-2 პესჩანნაიაზე „სალაყბოდ“. გალინა ალექსანდრეს ასული ვასილს ვასკას ეძახდა, საშა კი დეიდაჩემ ვერა პავლეს ასულს – დეიდა ვეროჩკას. ზოგჯერ შემოირბენდა ნადია, რათა საიდუმლოები გაეზიარებინა. დაქალთან საუბრის დროს მე მას ფოტო გადავუღე. მალე გალინა ალექსანდრეს ასულმა ნოვოსლობოდსკაიას ქუჩაზე ოროთახიანი ბინა მიიღო. საშა მიდიოდა მამასთან და ერთხელ მისგან მომიტანა საჩუქარი – მის მიერ სახარატო ჩარხზე დამზადებული ნიშანი. საჩუქრის აზრი საშას არ უთქვამს. იგი მე ბახჩისარაის იმ შადრევანზე პატარა ვარდს მომაგონებს, საიდანაც ამოდის წყალი, შემდეგ წვეთებად ეშვება ჭურჭელში. ამ წვეთებს ა.ს. პუშკინმა ხმების გამო „მწუხარების შადრევანი“ უწოდა. რისი თქმა უნდოდა ვასილს ამ ნიშნით, საშამ არ იცოდა. ასეთივე ნიშანი მან თავისი პიჯაკის საყელოზე დაიმაგრა. ჩემსას მე ვინახავ დოკუმენტების ყუთში.

(გაგრძელება იძნება)

გზამკვლევი

ევროკავშირის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის

რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი?

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს:

დიდი ბრიტანეთის ვიზის მისაღებად: საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს https://www.gov.uk/check-uk-visa

ირლანდიის ვიზის მისაღებად: ირლანდიის საელჩოს საკონსულო სამსახურს ქ.სოფიაში (ბულგარეთის რესპუბლიკა)

https://www.dfa.ie/embassies/irish-embassies-abroad/europe/georgia/

რა დროის განმავლობაში შეგვიძლია ვიმყოფებოდეთ ევროკავშირის (შენგენის) ტერიტორიაზე?

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები;

მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში;

ევროკავშირის (შენგენის) ქვეყნებში 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ევროკავშირის (შენგენის) სივრცეში მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ;



მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების – ახლობლების მონახულება, ბიზნეს-შეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები – ტრეინინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს;

უვიზო რეჟიმი არ შეეხება ევროკავშირის (შენგენის) წევრ სახელმწიფოებში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით;

ევროკავშირის (შენგენის) წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს ვიზის მისაღებად.

* * *

შეიძლება თუ არა 90-დღიან პერიოდში მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის (შენგენის) ტერიტორიაზე?

დიახ, თუმცა საჭიროა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა არ აღემატება ჯამში 90 დღეს უკანასკნელი 180 დღის განმავლობაში; რეკომენდებულია ისარგებლოთ შენგენის ზონაში ყოფნის დასაშვები პერიოდის გამოსათვლელი სპეციალური კალკულატორით.

რა საბუთებია საჭირო?

მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები საქართველოში დაბრუნების დღისთვის.

სად და როგორ შეგვიძლია ავიღოთ ბიომეტრიული პასპორტი?

პასპორტის მისაღებად მიმართეთ იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, ნებისმიერ საზოგადოებრივ ცენტრს, ექსპრეს საზოგადოებრივ ცენტრს, საზღვარგარეთ საქართველოს ნებისმიერ საელჩოს (საკონსულოს), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურს.

დეტალური ინფორმაცია ბიომეტრიული პასპორტის საფასურის შესახებ მისი გაცემის ვადების მიხედვით, ასევე გარკვეულ კატეგორიებზე არსებული შეღავათების შესახებ იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

http://sda.gov.ge/?page_id=5103

https://www.geoconsul.gov.ge/ka/services/4.html

შეგვიძლია თუ არა ვიმოგზაუროთ ბიომეტრიული პასპორტის გარეშე?

ევროკავშირის (შენგენის) ზონაში ბიომეტრიული პასპორტის გარეშე უვიზოდ შესვლა შეუძლებელია. ბიომეტრიული პასპორტის არქონის შემთხვევაში, ვიზის მისაღებად, განაცხადით უნდა მიმართოთ ევროკავშირის (შენგენის) წევრი ქვეყნების საელჩოებს, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საქართველოში.

რა კითხვები შეიძლება დაგვისვას ევროკავშირის (შენგენის) ტერიტორიაზე შესვლისას სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა და რა საბუთების მოთხოვნის უფლება აქვს მას?

მოქმედი ბიომეტრიული პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები საქართველოში დაბრუნების დღისთვის;

გაქვთ, თუ არა მგზავრობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი? (მაგ.: საქმიანი მგზავრობა, ტურიზმი, მეგობრების, ან ნათესავების მონახულება, სასწავლო კურსი 90 დღემდე ვადით).

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელმა შეიძლება მოგთხოვოთ შემდეგი სახის საბუთები:

ტურიზმი და დასვენება:

უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი;

სასტუმროს ჯავშანი;

სამოგზაურო დაზღვევა;

მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.). ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებში, საქმიან შეხვედრებში და ა.შ.

იმ ღონისძიების კონფერენციის, სემინარის მოწვევა – პროგრამა, რომელშიც მონაწილეობთ;

სასტუმროს ჯავშანი;

სამოგზაურო დაზღვევა;

უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

ნათესავების, მეგობრების მონახულება:

მიმღები პირის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.);

იმ პირის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომლის მოსანახულებლადაც მიემგზავრებით;

სამოგზაურო დაზღვევა;

უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.).

მკურნალობა:

იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც გეგმავთ მკურნალობას ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში;.

სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის;

უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (თანხა ნაღდი სახით, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები, გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.)

ევროკავშირის ტერიტორიაზე

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან:

შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული შესვლისა და ყოფნის წესები (შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერი 180-დღიანი პერიოდის განმავლობაში);

ადგილობრივი კანონმდებლობა, საავტომობილო მოძრაობის წესები და საზოგადოებრივი წესრიგი;

ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას (გაძევება) ან დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე პერიოდით.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დავარღვევთ ევროკავშირის (შენგენის) ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის წესებს?

ქვეყანაში 90-დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი დაექვემდებარება რეადმისიას (საქართველოში დაბრუნებას). ამასთან, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე პერიოდით. ალტერნატივის სახით, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული ზომები/ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ქვეყანაში, ან შენგენის ტერიტორიაზე;

შენგენის (ევროკავშირის ტერიტორიაზე) შესასვლელად საქართველოს მოქალაქე არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას, ან შიდა უსაფრთხოებას;

არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ ზემოხსენებული ქვეყნებიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა;

არ უნდა იყოს ნასამართლევი შენგენის(ევროკავშირის) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით;

არ უნდა იყოს ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან უკან დაბრუნების (რეადმისია) შესახებ გადაწყვეტილების ობიექტი;

არ უნდა არსებობდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის, ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი.

შენგენის ტერიტორიაზე შესვლის და ყოფნის ეს პირობები გამოიყენება ევროკავშირის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქესთან მიმართებაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი: (+995 32) 2 94 50 50;

ელექტრონული ფოსტის მისამართი: consulinfo@mfa.gov.ge

საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებისა და საკონსულოების სრული საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.geoconsul.gov.ge/ka/consularOffices

დედამიწის ზურგზე

კემერონმა დააყენა წინადადება, რომ ბრიტანელ პოლიციელებს ადგილზე დახვრეტის ნება მისცენ

კემერონის ინიციატივა ქვეყანაში უკიდურესად არაერთმნიშვნელოვნად აღიქვეს. მისი ვერსიით, ასეთი ზომები საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად ვებრძოლოთ ტერორისტებს, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი შეტაკებები, როგორიც პარიზში მოხდა. კრიტიკოსები კი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ამგვარი უფლება პოლიციელებისათვის ცუდად აისახება საზოგადოებაში სამართალდამცველების მიმართ, რაც უკვე დღეს შეინიშნება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩინეთში ზვავებისგან დაკარგულთა რიცხვი 91 კაცამდე გაიზარდა

ძებნილთა შორისაა 59 მამაკაცი და 32 ქალი. უკანასკნელი მონაცემებით, სტიქიამ დაანგრია 33 შენობა და გამოიწვია აფეთქება გაზსადენზე. წინასწარი მონაცემებით,

საგანგებო შემთხვევის მიზეზი გახდა არასანქცირებული სანაგვე.

მარიოპოლში ლენინის ჩამოგდებული ძეგლის ადგილზე თავად სპიატოსლავის ძეგლი დადგეს

კიევის დიდი მთავრის მონუმენტი, რომლის სიმაღლეც 3,5 მეტრია, დაამზადა უკრაინის სპეციალური ბატალიონის „აზოვის“ მეომრის მამამ. ილიჩის 8-მეტრიანი ძეგლი უცნობმა პირებმა ტროსის დახმარებით 2014 წლის აგვისტოში ჩამოაგდეს .

სლოვენიის მოქალაქეებმა რეფერენდუმზე უარი განაცხადეს გეი-ქორწინებების დაკანონებაზე

კენჭისყრის მონაწილეთა თითქმის ორმა მესამედმა უთხრა „არა“ კანონპროექტს, რომელიც გვთავაზობდა განსაზღვრულიყო ქორწინება როგორც ნებაყოფლობითი კავშირი 2 სრულწლოვან ადამიანს შორის სქესის მიუთითებლად. მარშტი კანონპროექტი მოიწონა ქვეყნის პარლამენტმა, მაგრამ კონსერვატორები, რომლებსაც

მხარს უჭერდა პაპი ფრანცისკო, წინააღმდეგობა გაუწიეს კანონის მიღებას, განსაკუთრებით გეი-წყვილებისათვის ბავშვების შვილობის საკითხში.

ლას-ვეგასში ქალი მანქანით სპეციალურად შეეარდა ტროტუარზე და შეიჭრა ხალხის ჯგუფში - ერთი კაცი დაიღუპა, ათობით დაჭრილია

მანქანა შეიჭრა ფეხით მოსიარულეთა რიგებში სასტუმროს მახლობლად. ქალი, რომელიც ავტომობილის საჭესთან იჯდა, შეეცადა, მიმალულიყო, მაგრამ მოგვიანებით იგი დააკავეს. მისგან აიღეს ანალიზები ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე. მოგვიანებით პოლიციამ განაცხადა, რომ ასეთი შეჭრა წინასწარ იყო განზრახული. რამდენიმე ადამიანი კრიტიკულ მდგომარეობაშია სავადმყოფოში.

ტრამპი კლინტონს სიცრუეში ადანაშაულებს

აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი თავის კონკურენტს სიცრუეში ადანაშაულებს. ტელეკომპანია NBC News-სთვის მიცემულ ინტერვიუში მილიარდერმა განაცხადა, რომ კლინტონის ბრალდებები მის წინააღმდეგ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. „მან თქვა, რომ ჩემი ინიციატივა იმის შესახებ, რომ მუსლიმანებს აშშ-ში შემოსვლა აეკრძალოთ, ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდას უწყობს ხელს. ის მატყუარაა და ეს ყველამ იცის. მას ამის დასამტკიცებლად არანაირი არგუმენტი არა აქვს“- აღნიშნა ტრამპმა.

ჯებ ბუში: პუტინი დიქტატორია

აშშ პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯებ ბუშმა რუსეთის პრეზიდენტს დიქტატორი უწოდა. ვრცელი ინტერვიუ მან ტელეკომპანია CBS News-ს მისცა. „შეერთებული შტატები მსოფლიოში გავლენას კარგავს, პუტინი კი პოზიციებს იძლიერებს. ის აშშ-ის შესუსტებისთვის იბრძვის. პუტინი ჩვენი მოკავშირე არ არის. ის დიქტატორია“, — აღნიშნა ბუშმა.

საზღვაო კატასტროფა ინდონეზიაში

ინდონეზიის სანაპიროებთან სამაშველო ოპერაცია გრძელდება. სამგზავრო გემმა კატასტროფა კუნძულ სულავესის სიახლოვეს განიცადა. მაშველებმა ამ დროისათვის 39 ადამიანის გადარჩენა შეძლეს. კატასტროფისას ბორტზე 118 ადამიანი იმყოფებოდა.

ისრაელის შს მინისტრი გადადგა

ისრაელის შს მინისტრმა სილვან შალომმა პოსტი დატოვა. ამის მიზეზი სექსუალური სკანდალი გახდა. რამდენიმე ქალბატონმა შალომი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. ექსმინისტრი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. შალომი ისრაელის მთავრობაში ვიცე-პრემიერის პოსტსაც იკავებდა.

ბრიტანელი დეპუტატები ითხოვენ, სირიაში ქრისტიანების მკვლელობა გენოციდად აღიარონ

პარლამენტარებმა მიმართეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონს თხოვნით, მოახდინოს გავლენა გაერო-ზე. იმის დასადასტურებლად, რომ სირიასა და ერაყში ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების წევრები აწარმოებენ გენოციდს, მათ დაასახელეს რელიგიური მოღვაწეების სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა შევიწროება.

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ განმეორებითი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ (25%-იანი ფასკლების შემდეგ)

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	2100	200	50	10	გალი
2	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	3150	300	50	10	გალი
3	კაზ–4540	A 287 PO	1999	525	50	20	10	გალი
4	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	1050	100	30	10	გალი
5	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	1875	200	30	10	გალი
6	კაზ 4360 სატვირთო	A 289 PO	1998	200	20	10	5	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. N GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 22 დეკემბრის 10 სთ-დან 2015 წლის 28 დეკემბრის 12 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 28 დეკემბერს 13 სააათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესების კასკადთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

—„ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

— რეალიზების შემთხვევაში დღგ-ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო საწყისი ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952 577 434493.

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ აუქციონის მომწყობი კომისია

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის № არ არის განსაზღვრული
პროექტის No.: P149952

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების მომზადება საქართველოში ლოჯისტიკური ცენტრების შესაქმნელად" საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის".**

კონტექსტი და მიზანი: მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული სატრანსპორტო გადაზიდვების და ლოჯისტიკის სფეროში, თუმცა ლოჯისტიკური ოპერაციები და სატრანსპორტო მომსახურება საჭიროებს გაუმჯობესებას, იმისთვის რომ საქართველომ მიაღწიოს თავის მიზანს – გახდეს რეგიონული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ცენტრი, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და საქონლის მოძრაობას ქვეყანაში. დავალების ძირითად მიზანს წარმოადგენს ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების მომზადება ორი ან სამი ლოჯისტიკური ცენტრისთვის საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, ფოკუსირება უნდა მოხდეს საჯარო კერძო პარტნიორობაზე. აღნიშნულმა ლოჯისტიკურმა ცენტრებმა უნდა უზრუნველყონ თანამედროვე საშუალებები სატვირთო გადაზიდვების გაერთიანების, დისტრიბუციის და დამატებითი ღირებულების მომსახურებისთვის.

მომავალი ინვესტიციებით რომ განხორციელდეს რეალური და მდგრადი პროექტები, დავალება ასევე მოიცავს: საჭიროებების შეფასებას და ამჟამად არსებული ლოჯისტიკური შესაძლებლობების კვლევას, ბაზრის სრულ შეფასებას, შესაფერისი ადგილმდებარეობის შერჩევას (მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის და ზემოქმედების შეფასების მიხედვით), თითოეული ცენტრისთვის ბიზნესის განვითარების მოდელის და ორგანიზაციული გეგმის შექმნა, წინასწარი პროექტის მომზადება შესაბამისი კატეგორიებისთვის საჭირო მომსახურების და მოწყობილობების გათვალისწინებით, ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი. კვლევა უნდა იყოს დეტალური და უნდა მომზადდეს იმის მიზნით, რომ პროექტის დაფინანსების მოძიების დროს პოტენციურ ინვესტორებს შეეძლოთ მისი წარდგენა დამფინანსებლებთან.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4-6 თვე.
დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაციას. ასევე უნდა მოიცავდეს იმ თანამშრომელთა ავტობიოგრაფიას, რომელიც შემოთავაზებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად, რათა დადასტურდეს რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- მსგავსი გამოცდილება ლოჯისტიკური ცენტრების შესაქმნელად ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების მომზადებაში (2007 წლის შემდეგ).

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილისაბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის</u>.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის(IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე <u>www.georoad.ge</u> შემდეგ ბმულზე:
<u>http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819</u>

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპების" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) შესაბამისად.
დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: <u>info@georoad.ge</u>

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2016 წლის 6 იანვრის, 16:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: <u>info@georoad.ge</u>
ვებ-გვერდი: <u>www.georoad.ge</u>

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

East-West Highway Corridor Improvement Project

Loan No. TBD
Project No. P149952

Georgia has applied financing from the World Bank towards the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Hereinafter "consultants") to express their interest in providing the following services: **"DEVELOPMENT OF A FEASIBILITY STUDY FOR THE CREATION OF LOGISTICS CENTERS IN GEORGIA" for the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia.**

Context and Objective: Significant achievements have been made in the freight transport and logistics sector, however logistics operations and transport services need to be improved to enable Georgia to fulfill its aspiration to becoming a regional transport and logistics hub, to support international trade and facilitate goods movements in the country. The main objective of this assignment is thus to develop a feasibility study for the creation of two or three logistics centers in Georgia on strategic sites with a focus on public private partnerships. These logistics centers should provide modern facilities for freight consolidation, distribution and added value services.

In order to promote realistic and sustainable projects for future investments, the study/assignment will include, inter alia: a needs assessment and surveys of current logistics capacities; a thorough market evaluation; the selection of appropriate sites (based on a multi-criteria analysis and impact assessment); the development of business models and organization plans for each center; a preliminary design based on relevant categories of required services and equipment; financial and economic analyses. The study shall be detailed and prepared with objectivity so that potential investors can submit it to lenders when seeking financing for the project.

The estimated duration of assignment is 4-6 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of Interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The selection criteria are:
- General experience;
- Similar experience in preparation of feasibility studies for the creation of logistics centers (since 2007);

<u>Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>*, January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on <u>www.georoad.ge</u> on the following link:

<u>http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819</u>

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>* , January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information at the address: <u>i</u>

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below **not later than January 06, 2015, 16:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: <u>info@georoad.ge</u>
Web-Site: <u>www.georoad.ge</u>

◎ წინ, საქართველო!

აქაც ჩვენ ვართ, იქაც ჩვენ ვართ

გასულ უქმეებზე ქართული ძიუდოს ისტორიაში მორიგი სასახელო ფურცლები ჩაიწერა — ჩვენმა ფალავნებმა ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგეს ევროპის საკლუბო პირველობაზე: თბილისის „მებრძოლმა“ ვენაში „ოქროს ლიგაზე“ მიაღწია წარმატებას, „საგარეჯომ“ კი საქართველოს დედაქალაქის ტატამზე პირველ ლიგაში გაიმარჯვა და მესამე ადგილზე გასულ „შევარდენთან“ ერთად გაისად „ოქროს ლიგაში“ გამოსვლის უფლება მოიპოვა. საგულისხმოა, რომ 2016 წელს ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში 8-დან 3 ქართული გუნდი იასპარეზებს. რუსეთსაც სამი წარმომადგენელი ეყოლებათ: სანკტ-პეტერბურგის „იავარა-ნევა“, გროზნოს „ედელვაისი“ და ნალჩიკის „ზელიონნაია გორა“. მათთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის გერმანული „აბენსბერგი“ და პორტუგალიის „სპორტინგ ლისაბონიც“ იბრძოლებენ.

წლევანდელ საკლუბო ჩემპიონატზე „მებრძოლის“ ღირსებას იცავდნენ (მწვრთნელი გიორგი ბაინდურაშვილი) ვაჟა მარგველაშვილი, ამირან პაპინაშვილი (66 კგ), ნუგზარ ტატალაშვილი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური (90), ადამ ოქრუაშვილი (+90). ქართველები სამ გუნდს დაუპირისპირდნენ და ყველა შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით — 3:2 მოიგეს. მებრძოლებს ამ პაექრობებში ბოლო, გამარჯვების ქულები ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა, თუმცა, მან ნახევარფინალში ბეწვის ხიდზე გაიარა — უკრაინელთა ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელ მესამე პრიზიორ იაკიმ ხამოსთან ვაზარსა და იუკოს აგებდა, მაგრამ გონგამდე მეტოქის შებოჭვა მოასწრო და გაიმარჯვა. პირველ ორთაბრძოლაში „მებრძოლმა“ საფრანგეთის „სენტ ჟენევიევს“ აჯობა, ნახევარფინალში პორტუგალიის „სპორტინგს“ სძლია, არადა, ორივე შეხვედრას თავიდან ჩვენები 0:2-ს აგებდნენ. ფინალში ისინი გერმანიის „აბენსბერგს“ დაუპირისპირდნენ. ნუგზარ ტატალაშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა, შესაბამისად, ევროპის მოქმედ ჩემპიონ საგი მუკისა და მარკ ოდენტალს მოუგეს, გიორგი მარგველაშვილი გიორგი ზანთარაიასთან ვაზარი-იუკოთი დაწინაურდა, მაგრამ გონგამდე იპონზე დაეცა, ხოლო ჭრიკიშვილი დომინიკ რესელისთან დამარცხდა. ქართველებს ჩემპიონობა ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა — სუფთა გდებით დიმიტრი პეტერსი დაჯაბნა. „მებრძოლმა“ 3:2 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო „აბენსბერგი“, მესამე ადგილები კი ლისაბონის „სპორტინგსა“ და „იავარა-ნევას“ (რუსეთი) ერგოთ. ქალებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რსკ „ჩამპინგი“ (საფრანგეთი), 2. „კორტალოიდი“ (შვეიცარია), 3. „ვენა სამურაი“ (ავსტრია), „ძიუდო-სპეიერი“ (გერმანია).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაისად „ოქროს ლიგაში“ გამოსვლის უფლება კიდევ ორმა ქართულმა გუნდმა მოიპოვა. თბილისის ახალ სპორტის სასახლეში პირველი ლიგის 13-მა გუნდმა მოიყარა თავი. „საგარეჯოს“ (მთავარი მწვრთნელი ირაკლი ცირეკიძე) თავიდანვე ფავორიტად მიიჩნევდნენ და არც შემცდარან — ჩვენმა ბიჭებმა ბოლომდე ღირსეულად იბრძოლეს და სამი რუსული გუნდი დაამარცხეს: გროზნოს „ედელვაისი“ — 4:1, ეკატერინბურგის „რატიბორეცი“ — 3:2 და ნალჩიკის „ზელიონნაია გორა“ — 3:2. ამ ტრიუმფში თავიანთი წვლილი ბექა და ლაშა შავდათუაშვილებმა, უშანგი მარგიანმა, თამაზ კირაკოზაშვილმა, ბექა ღვინიაშვილმა და ლევან მატიაშვილმა შეიტანეს. ამ უკანასკნელმა გუნდი ყველა კრიტიკულ ვითარებაში იხსნა, ფინალში კი ულამაზესი იპონით „საგარეჯოს“ პირველი ადგილი მოუტანა. ღვინიაშვილიც სამი მოგებით შეეწია თავის გუნდს — იპონით ზედიზედ დაამარცხა იური პანასენკოვი, ადლან ესკირხანოვი და სამირ გუჩაპშევი.

„შევარდენი“ საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის შეაკოწიწეს — მის შემადგენლობაში იჭიდავეს იმედისმომცემმა ახალგაზრდებმა — გელა კელიხაშვილმა, თორნიკე ნაგლიაშვილმა (ორივე — 66), ფრიდონ გიგანმა (73), ანზორ ბიბილაშვილმა (81), გიორგი გველესიანმა, ონისე სანებლიძემ (ორივე - 90) და ონისე ბულაძემ (მძიმე წონა). ჩვენმა ბიჭებმა სტარტზე საფრანგეთის „სუსი“ დამარცხეს 3:2, შემდეგ ტიუმენის (რუსეთი) „ნიუ სტრიმთან“ დათმეს შეხვედრა — 1:4. ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში ჰოლანდიური „ნორდ-ოოსტი“, ფრანგული“სარტორვილი“ და „რატიბორეცი“ ჩამოიშორეს გზიდან, მესამე ადგილი დაიკავეს და გაისად „ოქროს ლიგაში“ გამოვლენ.

ვაჟები. 1. „საგარეჯო“ (საქართველო), 2. „მზელიონნაია გორა“ (რუსეთი), 3. „შევარდენი“ (საქართველო), „ედელვაისი“ (რუსეთი).

ქალები. 1. „ნორდ-ოოსტი“ (ჰოლანდია), 2. „შაბოლოვკა“ (რუსეთი), 3. „დინამო“ (რუსეთი), „ლიმოჟი“ (საფრანგეთი).

ლექსო ცინცაძე

◎ სპორტული ტანვარჯიში

ფესტივალის პრიზიორის მოსკოვური „ოქრო“

საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში. საასპარეზოდ მათთან ერთად თავი მოიყარეს 22 ქვეყნის სპორტსმენებმა. ჩვენებურები ჯილდოებისთვის ახალგაზრდებს ეჯიბრებოდნენ. საქართველოს ნაკრებმა გუნდურში 153,2 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. იაპონია (172.252), 2. მოსკოვის „დინამო“ (170.950), 3. რუსეთი (166.350). ინდივიდუალურ პირველობებში თავი გამოიჩინა ევროპის წლევანდელი ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორმა თბილისელმა დიმიტრი გოვოროვმა. მრავალჭიდში იგი 76.8 ქულით მე-8 იყო (IX ადგილზე მისი თანაგუნდელი ნიკიტა ლეტნიკოვი — 76.4 გავიდა). ბჯენით ხტომებში გოვოროვმა 14.137 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე კი მასიმიჩი ნაკაგავა (იაპონია, 13.987) და ანდრეი მაკაროვი (რუსეთი, 13.725) გავიდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა დანარჩენ სახეობებში ასეთი შედეგები აჩვენეს: **რგოლები.** IV. ლეტნიკოვი (13.4), V. გოვოროვი (13.1). კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ანდრეი მაკაროვი (14.050), 2. მაქსიმ სიჩკინი (ორივე — რუსეთი, 13.875), 3. ტაჩიბანა შიგა (იაპონია, 13.5). **თავისუფალი ვარჯიში.** VII. იოანე ჯიმშელეიშვილი (13.175). **ორძელი.** VI. დიმიტრი გოვოროვი (11.675), VII. ნიკიტა ლეტნიკოვი (10.925); **ღერძი.** V. ნიკიტა ლეტნიკოვი (13.175), VI. დიმიტრი გოვოროვი (12.925). **ნაირსიმაღლის ორძელი.** VIII. პოლინა ბორზიხი (10.50).

გივი გაგუა

სურათზე: დიმიტრი გოვოროვი ასპარეზობისას.

◎ ხელბურთი

ნორვეგია ყველაფრის ჩემპიონია

მსოფლიო ჩემპიონი ქალთა ხელბურთში გახდა ნორვეგიის ნაკრები, რომელმაც ფინალში 31:23 დამარცხა ჰოლანდია, ხოლო ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა რუმინეთმა პოლონეთს მოუგო — 31:22.

ფინალში ჰოლანდია ერთადერთხელ დაწინაურდა პირველ წუთზე, შემდეგ კი საქმეში ჩაერთო ნორვეგიელთა მეკარე კარი გრიმსბო, რომელმაც ჯამში 23 დარტყმა მოიგერია და ანგარიშმა ნორვეგიელთა სასარგებლოდ იწყო ზრდა — ტაიმის ბოლოს ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილი იყო (20:9), მეორე ნახევრის დასაწყისში კი სხვაობამ 13 ბურთს უწია — 22:9. ჰოლანდიამ ამის შემდეგ გაიბრძოლა და ესტავანა პოლმანმა 52-ე წუთზე 5 ბურთამდე შეამცირა სხვაობა (21:26), თუმცა, ამას ნორვეგიელთა ზედიზედ 5 გოლი მოჰყვა.

ჰოლანდიამ პირველად მოიპოვა დიდი საერთაშორისო ტურნირის მედალი, ხოლო ნორვეგია მსოფლიო ჩემპიონი მესამედ გახდა. გარდა ამისა გუნდს ორი ოლიმპიური ოქრო და ევროპის 6 ჩემპიონობა აქვს. გუნდმა დაიბრუნა 2013 წელს დაკარგული ტიტული, დღეისთვის კი არის ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი.

მესამე ადგილისთვის მატჩში პოლონეთმა წინააღმდეგობა ვერ გაუწი: რუმინეთს და ზედიზედ მეორედ წააგო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს ფინალი — 22:31, ხოლო რუმინელთა მარცხენა ინსაიდი კრისტინა ნიაგუ (27 წლის, 180 სმ) გახდა ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე.

მომდევნო დიდი ტურნირი რიოს ოლიმპიადაა. უკვე გარკვეულია მისი 6 მონაწილე. ნორვეგია ოლიმპიადაზე მოხვდა როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო ევროპის ადგილი ერგო კონტინენტის ვიცე-ჩემპიონ ესპანეთს. მსოფლიო ჩემპიონატზე მე-2-მე-7 ადგილებზე გასული გუნდები (ჰოლანდია, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, დანია, საფრანგეთი) მოხვდნენ ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე, სადაც 12 ქვეყანა ითამაშებს. გაიმართება 3 ტურნირი, რომელსაც უნდა უმასპინძლონ ჰოლანდიამ, რუმინეთმა და პოლონეთმა — 22 საუკეთესო გუნდი დარჩენილ 6 საგზურს მიიღებს.

კობა კობახიძე

◎ იგი წავა და სხვა მოვა

იგორ კოკოშკოვის სამადლობელი ღია წერილი ქართულ საკალათბურთო საზოგადოებას

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს 2016 წლიდან ახალი თავკაცი ეყოლება. იგორ კოკოშკოვი ჩვენს გუნდს აღარ გაწვრთნის — ევრობასკეტის დასრულების შემდეგ მას ორწლიანი კონტრაქტის ვადა ამოეწურა. გთავაზობთ სერბი სპეციალისტის ღია წერილს, რომელშიც იგი ქართველ საზოგადოებას გულთბილად ემშვიდობება:

„ჩემო მეგობრებო საქართველოს საკალათბურთო სამყაროდან

მინდა გამოვხატო დიდი მადლიერება კალათბურთის ფედერაციაში მომუშავე ყველა იმ პიროვნებისადმი, რომლებმაც ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებში მუშაობის საშუალება მომცეს. მადლობა თითოეულ მოთამაშეს, სამწვრთნელო შტაბს, ნაკრებში დასაქმებულ ყველა ადამიანს უთვალავი საათის დაუღალავად შრომაში გატარებისთვის.

უზარმაზარი გამოცდილება იყო საქართველოს ნაკრებში მოღვაწეობა. აღნიშნულმა პერიოდმა ბევრი კარგი მოსაგონარი დამიტოვა მეხსიერებაში, რაც სამუდამოდ დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს ჩემს გულში.

უამრავი გამოწვევა გვქონდა, უამრავი სიძნელე გადავლახეთ ერთად, რათა დასახული მიზნებისთვის მიგვეღწია. ამასთან, საქართველოს ნაკრები მუდმივად იზრდებოდა, როგორც გუნდი, რაც ჩემთვის ახლაც საამაყოა. მჯერა, რომ დღეს სწორედ საქართველოს ნაკრების წყალობით ყველანი უკეთესები ვართ და კალათბურთიც გაცილებით ძლიერია.

გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს. იცოდეთ, რომ საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ეყოლება საუკეთესო მეგობარი და №1 გულშემატკივარი ჩემი სახით.

დიდი მადლობა, გფარავდეთ ღმერთი.

იგორ კოკოშკოვი

იგორ კოკოშკოვი საქართველოს ერვნულ ნაკრებს 2008 წლიდან მოყოლებული ავარჯიშებდა და მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის პირველმა გუნდმა B დივიზიონიდან A დივიზიონში გადასვლა შეძლო, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ სამჯერ — 2011, 2013 და 2015 წლებში ითამაშა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ტაბლო

მსოფლიოს საკლუბო ჩემპონატი. ფინალი. „ბარსელონა“ — „რივერ პლეიტი“ 3:0 (მესი, სუარესი — 2). ეს კატალიონიელთა მესამე ტრიუმფია. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი 5 გოლით ლუის სუარესი გახდა.

* * *

იტალია. „ინტერი“ — „ლაციო“ 1:2, „ფიორენტინა“ — „კიევო“ 2:0, „ატალანტა“ — „ნაპოლი“ 1:3, „რომა“ — „ჯენოა“ 2:0, „კარპი“ — „იუვენტუსი“ 2:3, „ფროზინონე“ — „მილანი“ 2:4.

ესპანეთი. „მალაგა“ — „ატლეტიკო“ 1:0, „რეალი“ — „რაიო ვალეკანო“ 10:2, „გრანადა“ — „სელტა“ 0:2.

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „ნორვიჩი“ 1:2, „ჩელსი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „ევერტონი“ — „ლესტერი“ 2:3.

გერმანია. „ჰანოვერი“ — „ბაიერნი“ 0:1, „კიოლნი“ — „დორტმუნდი“ 2:1, „ჰერტა“ — „მაინცი“ 2:0.

გადრი იაშვილი

◎ განაჩენი

ბლატერი და პლატინი ფეხბურთიდან 8 წლით მოკვეთეს

ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერს და უეფას თავკაცს მიშელ პლატინის ფეხბურთში საქმიანობა 8 წლით აეკრძალათ. როგორც ფიფას პრესსამსახური იტყობინება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ეთიკის კომიტეტმა, რომელიც ფიფას ხელმძღვანელის მხრიდან პლატინის ანგარიშზე გადარიცხული თანხის კანონიერების საკითხს იკვლევდა.

ეთიკის კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მხარეთა მტკიცებულებები, რომლის თანახმად 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობის თანხა რამდენიმე წლის წინ პლატინის მიერ შესრულებული საკონსულტაციო სამუშაოების ანაზღაურება იყო, არადამაჯერებლად ცნეს. გარდა ფეხბურთიდან ჩამოშორებისა, ბლატერი 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა, პლატინის კი 80 ათასის გადახდა დაეკისრა.

ფიფას ეთიკის კომიტეტის ამ გადაწყვეტილების შედეგად მიშელ პლატინი მონაწილეობას ვერ მიიღებს 2016 წლის 26 თებერვალს დაგეგმილ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში.

გიორგი შოთაძე

◎ ეკოლოგია

საყოველთაო დათბობის „შაშხანა“

დეკემბრის დასაწყისში პარიზში კლიმატოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი უაღრესად წარმომადგენლობითი ფორუმი გაიმართა (მისი ზოგიერთი შედეგი ჩვენი გაზეთის 9 დეკემბრის №231-ში, პროფესორ მერაბ ჯიბლაძის სტატიაში „გლობალური დათბობა“ არის განხილული). აღნიშნული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასში მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა განვითარებული და განვითარების გზაზე მდგარი სახელმწიფოს, მათ შორის, ცხადია, საქართველოს, პირველმა პირმა მიიღო მონაწილეობა.

იმაში დასარწმუნებლად, რომ დედამიწის ატმოსფეროს რაღაცა მოსდის, საკმარისია არქტიკის უწინდელი და ახლანდელი ფოტოების შედარება, რადგან იქაური ყინულოვანი საფარის ფართი კლიმატის ცვლილების მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ინდიკატორია. შედარებისთვის, ჩვეულებრივ, ამ ფართის ნომინალურ, ზაფხულის დნობის შემდგომ სექტემბრის მნიშვნელობებს იღებენ ხოლმე. თანამგზავრთა მეშვეობით მისი გაზომვა დიდი სიზუსტით შეიძლება. 1980-იან წლებში სექტემბრის ყინულს 6,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართი ეკავა, 2000-იანებში — 5,6 მილიონი კვადრატული კილომეტრი. მაგრამ, ყინულების ფართი ერთიანად არ მცირდება — ცივი ზაფხულის შემდეგ ის მოულოდნელად შეიძლება გაიზარდოს. 2012 წელს ზაფხული ანომალურად ცხელი იყო და არქტიკის ყინულოვანი საფარი რეკორდულ 3,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა, თუმცა 2013-ში ის 5,1 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე გაიზარდა, 2015-ში კი კვლავ შემცირდა და 4,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი შეადგინა.

კლიმატოლოგები ერთხმად აცხადებენ, რომ დედამიწის კლიმატი თბება, ხოლო ამის მიზეზად ადამიანის საქმეურნეო მოღვაწეობას ასახელებენ. **ამის ყველაზე თვალნათელი შედეგია ყინულის დნობა, რის გამო მსოფლიო ოკეანის დონე წელიწადში 3 მილიმეტრის სიჩქარით მატულობს. საუკუნის მიწურულისთვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 50-100 სანტიმეტრი იქნება, რის გამოც დიდად გართულდება ნიდერლანდის, ნიგერიის, ბაგლადეშის ზღვისპირა ტერიტორიების ყოფა. ზოგიერთი მარჯნის კუნძული და მთელი ქვეყნებიც კი, შესაძლოა, საცხოვრებლად გამოუსადეგი გახდეს.** ამასთან, სამთო მყინვარების გაქრობა მთის მდინარეთა გამეჩხერებას და დაშრობას იწვევს, რის შედეგად წყლის რესურსების ხარისხი იკლებს.

გადაშენება ემუქრება ცხოველთა არაერთ სახეობას — დაწყებული თეთრი დათვებიდან, რომელთათვის აუცილებელია მცურავი ყინულების არსებობა, მარჯნებით დამთავრებული, რომლებიც ტემპერატურისა და მჟავიანობის გარკვეულ მნიშვნელობაზე არსებობენ. გათბობას ბუნებრივი კატაკლიზმების — გვალვებისა და წყალდიდობების რიცხვის ზრდა მოყვება, სიცხისა და ყინვების შემოტევები სულ უფრო მეტად გამძაფრდება. **იმ შემთხვევაში, თუ გლობალური დათბობა ინდუსტრიამდელ ეპოქის დონეს, ცელსიუსის +4-5 გრადუსს გადააჭარბებს, კაცობრიობა საყოველთაო — შიმშილობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. თუმცა კი, მრავალი ექსპერტის აზრით, მანამდე დიდი სახელმწიფოები და დამნაშავეთა საერთაშორისო კარტელები ასობით შეიარაღებულ კონფლიქტს წამოიწყებენ, რომელთა მიზანი ნოყიერი მიწების დაუფლება და სასმელ წყალზე წვდომა იქნება.**

მაგრამ ყველაფერი არც ამით არ დასრულდება. ტემპერატურის გარკვეულ დონემდე (თუ კონრეტულად სადამდე, ჯერჯერობით უცნობია) მომატებას კლიმატის მკვეთრი და სწრაფი ცვლილებები მოყვება. მაგალითად, **მუდმივი გამყინვარების ზონაში და მსოფლიო ოკეანის სიღრმეში ამჟამად სხვა ნივთიერებებთან ქიმიურ ბმაში მყოფი მეთანისა და ნახშირორჟანგის მასობრივი გათავისუფლება დედამიწას საყოველთაო კატასტროფას უქადის.** გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ 252 მილიონი წლის წინათ, პერმულ პერიოდში, ცოცხალი ორგანიზმების 95 პროცენტი დაიღუპა.

ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოში მრავლადაა უაღრესად მდიდარი გავლენიანი კომპანია და საერთაშორისო კარტელი, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება გლობალური დათბობის ფაქტს და დედამიწის კლიმატზე ნახშირორჟანგის მავნე ზეგავლენას. ესენი, უმთავრესად, ენერგოშემცველთა (უწინარესად ქვანახშირის, გაზისა და ნავთობის) მომპოვებელი და რეალიზატორი კომპანიებია (სხვებზე ხშირად ამ კონტექსტში „ექსონ მობილს“ ასახელებენ, თუმცა კი მას არც სხვები ჩამორჩებიან). ისინი შიშობენ, რომ გლობალური დათბობის პროცესის საყოველთაო აღიარებების შედეგად, მათი ინტერესები მნიშვნელოვნად შეილახება.

მანამდე კი, სტანისლავსკის სიკეთისა არ იყოს, „გლობალური დათბობის თოფი“ კედელზე ჰკიდია, სცენაზე კი ერთობ უცნაური პერსონაჟები გამოდიან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კედელზე არაფერიც არ არის...

ოთარ ტურაბელიძე

შვილები კობა, გურამი, გივი ამირხანაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ამირხანაშვილი

პანაშვიდი 22, 23 XII, 16 სთ. გამოსვენება 24 XII 15 სთ. მისამართი: სოფელი გალავანი.

ნანული (ნანა) გუნია, შვილები ედუარდი, გიორგი დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ ავთანდილ მეგრელაძეს დის

ელიკოს

გარდაცვალების გამო.

ნანული (ნანა) გუნია, ედუარდ (იოანე) და გიორგი დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ ჯანო (ჯანსუღ) კვირიკაშვილს დედის

ლიანას

გარდაცვალების გამო.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, თემურ, ანიკო კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ავთანდილ მეგრელაძეს დის

ელიკო გიგას ასულ მეგრელაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

მდინარე ყოროლისწყლის კალაპოტის ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულებულია

ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის მარჯვენა ნაპირი, რომელიც ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დროს ინტენსიურად ირეცხებოდა. გამორეცხვების შედეგად დაზიანდა დასახლებასთან დამაკავშირებელი გზა და რამდენიმე საკარმიდამო ნაკვეთი. აღნიშნული პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, დაზიანების საშიშროება ექმნებოდა მდინარის კალაპოტის მიმდებარე საცხოვრებელ სახლებსაც. სტიქიის პრევენციის მიზნით, გატარდა შესაბამისი ნაპირგამაგრებითი ღონისძიებები. მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, 250 მეტრის სიგრძეზე მოეწყო ქვის გაბიონის 4 იარუსიანი დამცავი კედელი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სეზონური უსვნალექიანობისათვის დამახასიათებელი პრობლემებისაგან დაიცავს.

ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ღირებულებამ 329.6 ათასი ლარი შეადგინა.

◎ ჩვენი კარაბადინი

„სურდოიანი მითები“

მეცნიერებმა დაითვალეს, რომ სიცოცხლის მანძილზე თითოეული ჩვენგანი ცხვირს დაახლოებით 20 ათასჯერ აცემინებს და ის, სულ მცირე, 2,5 წლის მანძილზეა „გაჭედილი“. იმის მიუხედავად, რომ სახელწოდებით „სურდო“ დაავადება არ არსებობს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მდგომარეობას ზერელედ უნდა მივუდგეთ.

„სურდოს მკურნალობას თუ დავიწყებ — ერთ კვირაში მორჩები, თუ არა და თავისით შვიდ დღეში გაგივლის“, — ამ სახუმარო თქმაში ბანალური გაციებისადმი თითქმის საყოველთაოდ დამკვიდრებული „ამჩატებული“ დამოუკიდებულებაა ასახული. მაგრამ მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ თუ სურდო მეხუთე დღეს არ გაგივლით, უმჯობესია მაინც ექიმს ეჩვენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გართულებები დაიწყოს და ის გაიმორიტში, სინუსიტში, ოტიტში, ფარინგიტში, ლარინგიტში ან ბრონქიტში გადაიზარდოს. თანაც სურდო შეიძლება ალერგიის სიმპტომი იყოს, რომლის დიაგნოსტირება დროულადაა საჭირო.

ამდენად, ის, რომ გაციებას ყურადღება შეიძლება არ მივაქციოთ, ერთგვარი მითია, რომლის მსგავსი მას საკმაოდ ბლომად ახლავს. აი, ზოგიერთი მათგანი:

მითი №1. თუკი ფეხები დაგისველდათ, მაშინ აუცილებლად გაცივდებით.

სინამდვილეში: გაციებას არა სიცივე, არამედ ვირუსი იწვევს, ამდენად თუ ძლიერი იმუნიტეტი გაქვთ, ძალიანაც რომ შეგცივდეთ, მაინც არ გაცივდებით და პირიქით: თუ ორგანიზმი დასუსტებულია, ქარის ოდნავ წამობერვასაც შესაძლოა სურდო მოყვეს.

მითი №2. თუ თქვენს გვერდით ვიღაც ცხვირს დააცემინებს, შეიძლება ავად გახდეთ.

სინამდვილეში: რინიტით საჰაერო-წვეთოვანი გზით ავადდებიან, ავადმყოფობა კი მაშინაც შეიძლება შეგეყაროთ, ოთახის მეორე კუთხეშიც რომ დააცემინონ. ასევე ინფექციის წყაროა ავადმყოფის პირადი ნივთები. ამიტომ მათ ზედმეტად შეხებას უმჯობესია მოერიდოთ.

მითი №3. თუკი სურდო დაგეწყოთ, აუცილებლად იმუნომოდულატორები უნდა იხმაროთ.

სინამდვილეში: ინგლისელ და ამერიკელ მკვლევართა ათწლიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ავადმყოფობის დროს იმუნიტეტის გამააქტიურებელი პრეპარატების მიღება არ ღირს. ამას მარტივი ახსნა აქვს: გაციების სიმპტომები — ეს არ არის ვირუსების დესტრუქციული მოქმედების შედეგი, ის ავადმყოფობაზე ჩვენი იმუნური სისტემის რეაქციაა. ამდენად, რაც უფრო ძლიერად ეწინააღმდეგებიან ორგანიზმის დამცველი ძალები ვირუსების შემოტევას, მით უფრო მძიმე და დამანგრეველია ამ „ომის“ შედეგები.

მითი №4. ცხვირიდან მწვანე ფერის გამონადენი ბაქტერიული ინფექციის შედეგია.

სინამდვილეში: ეს ყველა შემთხვევაში ასე არ არის, პირიქით, ასეთი რამ უფრო იმის ნიშანია, რომ ორგანიზმის იმუნური სისტემა თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს: როცა ინფექციასთან ბრძოლაში სისხლის თეთრი სხეულების ოდენობა იზრდება, მასთან ერთად იცვლება გამონადენის ფერიც — გამჭირვალედან ჯერ ყვითლამდე, შემდეგ კი მწვანემდე.

მითი №5. უფრო სწრაფად რომ გამოჯანმრთელდეთ, საჭიროა ცხვირი უფრო ხშირად გამოიხოცოთ.

სინამდვილეში: თუკი სუნთქვა გიჭირთ,

ეს ცხვირში გამონადენის გამო კი არა, არამედ ლორწოვანი გარსის შეშუპების გამო ხდება. ამიტომაცაა, რომ ხშირად და ძლიერად ცხვირის გამოხოცვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამით თქვენ მხოლოდ საკუთარ თავს ავნებთ, რადგან ინფექცია უფრო ღრმად შეიჭრება, რასაც, შესაძლოა, მეტად არასასურველი გართულებებიც მოყვეს. ცხვირში გამონადენის მოშორება დიდი სიფრთხილითაა საჭირო — ორივე ნესტო ცალ-ცალკე უნდა გაითავისუფლოთ.

მითი №6. სურდოს მკურნალობისას წვეთები დაწოლილმა უნდა ჩაიწვეთოთ.

სინამდვილეში: საჭიროა მხოლოდ თავის ოდნავ უკან გადაწევა, თანაც იმ ნესტოს მიმართულებით გადახრა, რომელშიც ჩაწვეთებას აპირებთ. ხოლო თუ დაწოლილი ჩაიწვეთებთ, მაშინ წამალი შეიძლება ყელში ჩაგვიდეთ.

მითი №7. სისხლძარღვების შევიწროებული წვეთების ჩაწვეთება ერთ კვირაზე მეტ ხანს არ შეიძლება.

სინამდვილეში: თუკი წამალს ცხვირში დღე-ღამის მანძილზე იწვეთებთ, მაშინ მათი მოხმარების ვადა სამ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. პერიოდული გამოყენებისას კი (დღეგამოშვებით, ისიც მხოლოდ ღამე!) მათი გამოყენება მხოლოდ 4-5 დღის განმავლობაში შეიძლება. სხვა შემთხვევაში წამალი შეჩვევას იწვევს!

მითი №8. თუკი ცხვირს გავითბობთ, სურდოს უფრო მალე მოვიშორებთ.

სინამდვილეში: ავადმყოფობის პირველ სტადიაზე, როცა ცხვირიდან გამონადენი ღვარად მოდის, ცხვირის გათბობას მართლაც შეუძლია ცხვირის რამდენადმე „დაშრობა“ — უმჯობესდება ლორწოვან გარსში სისხლის მიმოქცევა, მცირდება შეშუპება. მაგრამ, თუკი ცხვირის უბეებში მიკრობების გამრავლება იწყება, სითბო ამ პროცესს ხელს შეუწყობს, შედეგად კი, შესაძლოა, სინუსიტი ან გაიმორიტი განვითარდეს.

მითი №9. ყველაფერი გაგივლით, თუკი ცხვირში ხახვის ან ნიორის წვენს ჩაიწვეთებთ.

სინამდვილეში: ესაა მეტად საეჭვო რეკომენდაცია, რადგან ხახვს ან ნიორს ლორწოვანი გარსის დამწვრობის გამოწვევა შეუძლია. ხახვიც და ნიორიც უნდა მიირთვათ, ანდა ბოლქვი ნაწილებად დაჭრათ და ავადმყოფის ოთახში თეფშზე დაწყოთ — ფიტონციდები მიკრობებს დახოცავენ.

მითი №10. ხანდაზმულები ახალგაზრდებზე უფრო ხშირად ცივდებიან.

სინამდვილეში: არადა, ეს პირიქითაა: გაცილებით ხშირად ინფექციური დაავადებებით ბავშვები და მოზარდები სნეულდებიან. 50 წელს გადაცილებულთა ორგანიზმში კი ვირუსების შემოტევების მოსაგერიებლად ანტისხეულების ოდენობა უკვე საკმარისადაა.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

◎ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის მოახლოება თბილისში დღითი დღე სულ უფრო მეტად იგრძნობა. მორთული ნაძვის ხეები და ზღაპრული პერსონაჟები დროებით ბინებს იდებენ დედაქალაქის მოედნებსა და სკვერებში, მაგრამ, ალბათ, ჩვენი პატარებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო ისაა, რომ საახალწლოდ მათი საყვარელი, ჩვენი სასიქადულო მწერლისა და მამულიშვილის ნოდარ დუმბაძის ოცნების ბავშვთა ქალაქი „მზიურიც“ ემზადება.

გასულ კვირადღეს მდინარე ვერეს მარჯვენა სანაპიროზე, ვაკის მხარეს, პატარებმა, მათმა მშობლებმა და ბებია-ბაბუებმა ბავშვთა ქალაქში „ახალი მზიურის“ გახსნა იზეიმეს. უფროსების თანხლებით „ახალი მზიურის“ დღესასწაულზე მისულ უამრავ პატარას შესასვლელშივე საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კომერციული „თიბისი ბანკის“ ახალგაზრდა თანამშრომლები ხვდებოდნენ, რომლებიც ბავშვებს ზეიმის მონაწილის ლამაზი სამკერდე ნიშნით წარწერით „ახალი მზიური“ აჯილდოებდნენ და შემდეგ მაგიდებამდე აცილებდნენ, სადაც ასევე „თიბისი ბანკის“ თანამშრომელი ქალიშვილები და ჭაბუკები პატარებს ნაირ-ნაირი ხელსაქმით ართობდნენ.

მაგიდებზე კი ბავშვებს ფერადი ფურცლებისგან სხვადასხვა საგნების – ხელჩანთების, კალათების, სახლების, ცხე-დარბაზების, თოჯინების გაკეთება ახალგაზრდა მასპინძლების დახმარებით შეეძლოთ, გასართობი სამაგიდო თამაშებიც მრავლად იყო..

აქვე მრავალ ინდმეწარმეს სხვადასხვა ნამცხვარი, ხაჭაპური, ბუტერბროდი, ცივი ჩაი, ხილის სასმელი ჰქონდა გამოტანილი, რომლითაც დიდ-პატარას უმასპინძლდებოდნენ. იყიდებოდა ლამაზი თოჯინები, ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოები, სამკაულები, სუვენირები.

ნაძვის ხის გარშემო შეკრებილ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც საზეიმო განწყობას ერთიანად უქმნიდნენ ჯამბაზების ჭრელა-ჭრელა სამოსელში გამოწყობილი სამუსიკო ჯგუფის „დრამქულის“ წევრები, რომლებიც მთელ „მზიურსაც“ მხიარული მელოდიებით უვლიდნენ.

ამ შესანიშნავი ღონისძიების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი შეზღუდული უნარის ახალგაზრდა ქალბატონი **ანა გოგუაძე** გახლდათ, რომელიც, ბანკის თანამშრომელთა თქმით, „ათ ქალზე მეტ საქმეს აკეთებს“.

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „თიბისი ბანკს“, რომელმაც ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ანგარიშზე 50 ათასი ლარი ჩარიცხა, – გვითხრა ექსკლუზიურ ინტერვიუში ქალბატონმა ანამ. – ათი წელია „მზიურთან“ ვთანამშრომლობ, ჩვენი ოცნებაა აღვასრულოთ ბატონ ნოდარ დუმბაძის ოცნება და „ახალი მზიური“ ჭეშმარიტად ბავშვთა ოცნების ქალაქად გადავაქციოთ. ვიმედოვნებთ, რომ გაზაფხულისთვის ბევრი რამის გაკეთებას შევძლებთ, აშენდება საბავშვო კვების კაფე, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ამფითეატრს, გაიმართება გასართობი ატრაქციონები, ქვედა მხრიდან სადგომიანი სამანქანო მისასვლელიც მოეწყობა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 20 დეკემბერს „ახალი მზიურის“ დღესასწაულის მთავარი სპონსორი „თიბისი ბანკი“ გახლდათ, მაგრამ აუცილებლად დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ ყველა იმ ინდმეწარმეს, რომელიც იქ სტუმრებს დახვდა და იმ დღის მთელი ნავაჭრი თანხა „მზიურის“ ფონდში ჩარიცხა.

ერთი სიტყვით, „ახალი მზიურის“ დღესასწეული მართლაც წინასაახალწლო ლაღი განწყობის მშვენიერ ფონზე ჩატარდა, კმაყოფილები დარჩნენ პატარა თბილისელებიც და უფროსებიც, დედაქალაქის მერიის წარმომადგენლებიც, რომლებიც, გვჯერა, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ დიდებული ქართველი მწერლის იმედის ფრთაშესასხმელად.

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

გაცნობებთ, რომ დაიწყო შპს „მერანის“ (ს/კ 235446754) რეორგანიზაციის პროცესი. რეორგანიზაციის სახედ განისაზღვროს ნატურით გაყოფა გამოყოფის გზით. კერძოდ შპს „მერანს“ გამოეყოფა საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. გამოყოფილ საწარმოს გადაეცემა შპს „მერანის“ ქონების ნაწილი, შპს „მერანი“ იმავე საფირმო სახელწოდებითა და საიდენტიფიკაციო კოდით გააგრძელებს არსებობას, ხოლო მისგან გამოყოფილი საწარმო სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდება, როგორც გამოყოფილი საწარმო.

შპს „მერანის“ დირექცია

19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ინსბურკი. 2. ბონდი. 3. ორკესტრი. 4. კრედო. 5. ტვენი. 6. კროუ. 7. ვერონეზე. 8. დო. 9. მონტევიდეო. 10. რკონი. 11. შუშხუნი. 12. დეტაშე. 13. დიქცია. 14. კიო. 15. სკარაბეუსი. 16. ვუ. 17. რუი. 18. აპისი. 19. ვერვიე. 20. ქცია. 21. საკე. 22. შხერო. 23. ფარუ. 24. უნარი. 25. ნერპა. 26. მირეი. 27. კალა. 28. სანდრო. 29. პერცი. 30. პო. 31. რანდევუ. 32. პეკანი. 33. ფიცროი. 34. როი. 35. ცედრა.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

– **მამი, რად მითხრა ჩვენმა ბოტანიკის მასწავლებელმა ქალმა, ნაყოფი ხისგან შორს არ ვარდებაო?**

– **შენ რა, საჯდომზე უჩქმიტე?**

* * *

საუბრობენ ყოფილი თანაკლასელი გოგო და ბიჭი.

– **გახსოვს, მერვე კლასში რომ დაგვიჭირეს, როცა კიბის ქვეშ სიგარეტს ვეწეოდით?**

– **ჰო, კიდევ კარგი, რომ ჩაცმა მოვასწარით!**

* * *

– **შენს ხელში ნამდვილ კონკიასავით ვარ – ვრეცხავ, ვალაგებ, ვამზადებ... – საყვედურობს ცოლი ქმარს.**

– **ხომ გეუბნებოდი, თუ გამომყვები, ისე გაცხოვრებ, როგორც ზღაპარში-მეთქი ?**

* * *

– **რატომ იცვამენ ქალები მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, იყენებენ კოსმეტიკას და ისხურებენ ძვირიან სუნამოებს? – ეკითხებიან პეტკას.**

– **იმიტომ, რომ სინამდვილეში ტანდაბლები, სუნიანები და შეუხედავები არიან.**

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ